# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი 10 დეკემბერი 1998 №226 (761) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS



მანჩესტერი — ბაიერნი. მანჩესტერელი ენდი კოულისა და მიუნხენელი სამუელ ოსეი კუფურის გუნდები ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდნენ

# ოლიმპიაკოსი
# იუვენტუსი
# ინტერი
# რეალი
# დინამო
# ბაიერნი
# მანჩესტერი
# კაიზერსლაუტერნი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩამოთვლილი გუნდები ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტები გახლავან. ისინი საფეხბურთო ევროპის ცაზე წუხელ გაბრწყინდნენ, მოიტოვეს რა უკან თექვსმეტი კონკურენტი.

წუხელ „ბებერ კონტინენტზე" ვნებათაღელვის, სიკვდილსიცოცხლის დღე იყო, როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით. ნამდვილი ტრაგედია ათენში დატრიალდა, სადაც „პანათინაიკოსისა" და „არსენალის" შეხვედრის დროს 16 წლის ბერძენი გულშემატკივარი, კოსტას ცაკოსი სტადიონის სხვენიდან გარეთ გადავარდა და დაიღუპა. დამარცხებულ გუნდთა მწუხარება კი გამარჯვებულთა ზეიმმა გააბათილა.

ევროპული სიხარულისა და დარდის წუხანდელ ღამეში მონაწილეობა ჩვენმა თანამემამულეებმაც მიიღეს. ტრიუმფატორთა მარაქაში კიევის დინამოელი კახა კალაძე გაერია, რომლის დარტყმითაც ლანსში გამართული E ჯგუფის გადამწყვეტი შეხვედრის მე-60 წუთზე ანგარიში გაიხსნა, ხოლო „ეინდჰოვენის" ფეხბურთელი გიორგი გახოკიძე „ბენფიკასთან" F ჯგუფის მატჩში მონაწილეობით ჩემპიონთა ლიგაში თამაშს გაუშინაურდა.

საგანგებო ყურადღებას B ჯგუფი იპყრობდა, სადაც ჩემპიონთა თასის ბოლო ორი გათამაშების დამარცხებული ფინალისტი „იუვენტუსი" საკუთარ ოსტატობასა და ბასკთა რაინდობაზე იყო დამოკიდებული. ტურინელებს ორივემ გაუმართლა, თავად „რუსენბორგს" სძლიეს 2:0, „ბილბაომ" კი მისთვის თითქოსდა არაფრისმთქმელ შეხვედრაში სტამბოლის „გალათასარაის" 1:0 მოუგო.

და ცხადია, უდიდეს ინტერესს მათი ვინაობა იწვევდა, მეორე ადგილოსანთა შორის საუკეთესო შედეგით რომ უნდა გასულიყვნენ მეოთხედფინალში. ისინი კონტინენტის ძველი, დიდი კლუბები „რეალი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" აღმოჩნდნენ.

ამრიგად, 1998-მა წელმა თავისი პროგრამა ამოწურა. შობამდე წილისყრაღა დარჩა, სადაც დღეს მოზეიმე 8 გუნდის დაწყვილების ამბავი უნდა გაირკვეს.

წილისყრა მომავალი კვირი ოთხშაბათს, 16 დეკემბერს, ჟენევაში გაიმართება.

## A ჯგუფი

### პორტუ 3:0 აიაქსი

1:0, 2:0 ზაჰოვიჩი (55, 73), 3:0 დრულოვიჩი (82)
პორტუ: კორეია, სანტოსი, ჟორჟე კოშტა, მანუელ პინტუ, ალვეში, დორივა, კარლოსი, პანდურუ (ჩიპო 53), ზაჰოვიჩი (რუი ბარუში 85), დრულოვიჩი (მიელჩარსკი 89), ჟარდელი
აიაქსი: ვან დერ სარი, მენსა, ბლინდი, ოლისე, ფ. დე ბური, რუდი (მაკართი 73), პუქსტრა, გორი (დანი 46), ვამბერტო, რ. დე ბური, გრონკიაერი (ბაბანგიდა 80)

### კროაცია 1:1 ოლიმპიაკოსი

1:0 იელიჩიჩი (35), 1:1 ჯანაკოპულოსი (64)
კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი, ბისკანი (ი. სიმიჩი 69), სარიჩი, დ. სიმიჩი, იურიჩი, რუკავინა, იელიჩიჩი (იურჩიჩი 87), მუიჩინი, მარიჩი, მიკიჩი (აბრამოვიჩი 82)
ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, ანატოლაკისი, გეორგატოსი, ამანატიდისი, პურსანიდისი, ჯორჯევიჩი, ჯანაკოპულოსი (ალექსანდრისი 81), მავროგენიდისი, გოგიჩი (ოფორი 84), ნინიადისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| კროაცია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 8 |
| პორტუ | 6 | 2 | 1 | 3 | 11:9 | 7 |
| აიაქსი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |

## B ჯგუფი

### ბილბაო 1:0 გალათასარაი

1:0 გერერო (44)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, კარლოს გარსია, ლარაინსარი, ლარასაბალი, ფერეირა, ხავი გონსალესი (ხ. ეჩებერია 73), ნაგორე (სეზარ ფერნანდესი 84), პერესი (ლასა 72), გერერო, ესკუერო
გალათასარაი: ტაფარელი, პოპესკუ, არიფი, ფილიპესკუ, ფატიხი, ოქანი, თოლუნაი (ბურაქი 63), სუათი (ქორქმაზი 63), უმითი, ჰასან სასი (ემრე 80), ჰაჯი

### იუვენტუსი 2:0 რუსენბორგი

1:0 ინძაგი (16), 2:0 ამორუზო (35)
იუვენტუსი: პერუცი, ტუდორი, ბირინდელი, მონტერო, პესოტო (დავიდსი 64), კონტე (დი ლივიო 88), დეშამპი, ტაკინარდი, ზიდანი, ინძაგი, ამორუზო (იულიანო 68)
რუსენბორგი: იამტფალი, ბერგდოლმო, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, პედერსენი (ჰერნესი 66), სტრანდი, იონსენი (ვინსნესი 57), ბერგი, სორენსენი (დალუმი 46), რუშფელდტი, იაკობსენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 6 | 1 | 5 | 0 | 7:5 | 8 |
| გალათასარაი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| რუსენბორგი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| ბილბაო | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |

## C ჯგუფი

### შტურმი 0:2 ინტერი

0:1 ძანეტი (64), 0:2 ბაჯო (80)
შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი (პრილასინგი 77), მილანიჩი (მარტენსი 46), ფოდა, შუპი, რაინმაიერი, ჰაასი, პოში, შოპი, კოციანი (ვალნერი 84), პოპოვიჩი
ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე, ძანეტი, გალანტე, ჯორკაეფი (ბაჯო 70), ვინტერი, რონალდო (სამორანო 61), ზე ელიასი (რეკობა 82), სიმეონე, სილვესტრი

### რეალი 2:1 სპარტაკი

1:0 რაული (33), 2:0 სავიო (65), 2:1 ხლესტოვი (89)
რეალი: ილგნერი, პანუჩი (ხაიმე 59), ივან კამპო, იერო, სანსი, რობერტო კარლოსი, ზეედორფი, რედონდო, მიატოვიჩი, რაული, სავიო
სპარტაკი: ფილიმონოვი, პარფიონოვი, ანანკო, ხლესტოვი, ბარანოვი, ბუშმანოვი, ციმბალარი, ტიხონოვი, შირკო, ტიტოვი, რობსონი (კანიშჩევი 74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | 13 |
| რეალი | 6 | 4 | 0 | 2 | 17:8 | 12 |
| სპარტაკი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| შტურმი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:16 | 1 |

## D ჯგუფი

### მანჩესტერი 1:1 ბაიერნი

1:0 კინი (43), 1:1 სალიჰამიჯიჩი (56)
მანჩესტერი: შმაიხელი, ბრაუნი, გ. ნევილი, სტამი, ირვინი (იონსენი 46), ბექემი, სქოულზი, კინი, გიგზი, იორკი (ბათი 64), კოული
ბაიერნი: კანი, შტრუნცი, ბაბელი, მათეუსი (ლინკე 61), კუფური, ლისარასუ, ციკლერი (ბასლერი 82), ეფენბერგი, იერემისი, ელბერი (იანკერი 82), სალიჰამიჯიჩი

### ბრონდბიუ 0:2 ბარსელონა

0:1 ლუიშ ფიგუ (4), 0:2 რივალდო (34)
ბრონდბიუ: კროგი, სკარბალიუსი, რასმუსენი, ნილსენი, კოლდინგი, ბიური, იენსენი (ტიგესენი 79), დუგაარდი (კრისტენსენი 69), ბაგერი (ლინდრუპი 74), სანდი, ჰანსენი
ბარსელონა: ჰესპი, სერხი, რაიციგერი, ოკუნოვო, კოკუ (კუადრადო 88), გვარდიოლა, ლუიშ ფიგუ, სელადესი, ანდერსონი (ჯოვანი 69), რივალდო (როხერი 63), ხავი ერნანდესი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| მანჩესტერი | 6 | 2 | 4 | 0 | 20:11 | 10 |
| ბარსელონა | 6 | 2 | 2 | 2 | 11:9 | 8 |
| ბრონდბიუ | 6 | 1 | 0 | 5 | 4:18 | 3 |

## E ჯგუფი

### ლანსი 1:3 დინამო

0:1 კალაძე (60), 0:2 ვაშჩუკი (76), 1:2 შმიცერი (78), 1:3 შევჩენკო (85)
ლინსი: ვარმუზი, მერიდე (ბრუნელი 2), მანიე, დეუ, ლაშო, დებევი, ნიარკო, დალმატი (მორეირა 88), ელოა (ფოე 64), ნუმა, შმიცერი
დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, ვაშჩუკი, გოლოვკო, დმიტრულინი (კოსოვსკი 46), გუსინი, კალაძე (კირიუხინი 67), ხაცკევიჩი, კარდაში (ბელკევიჩი 51), შევჩენკო, რებროვი

### პანათინაიკოსი 1:3 არსენალი

0:1 ასანოვიჩი (65ს.კ.), 1:1 სიპნიევსკი (74), 1:2 ანელკა (80), 1:3 ბოა მორტე (86)
პანათინაიკოსი: ვანძიკი, აპოსტოლაკისი, მილოევიჩი, ლაგონიკაკისი, გუმასი, ბასინასი, კოსტანდინიდისი (სტრანდლი 69), კოლა (სიპნიევსკი 56), ასანოვიჩი, ლიბეროპულოსი, ვარჟიხა
არსენალი: სიმენი, გრონდინი, ბოულდი, ვივასი, აფსონი, გრიმანდი, ბოა მორტე, მენდესი (ბლექი 78), ვერნასა, ანელკა, ვრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 3 | 2 | 1 | 11:7 | 11 |
| ლანსი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | 8 |
| არსენალი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| პანათინაიკოსი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:9 | 6 |

## F ჯგუფი

### ეინდჰოვენი 2:2 ბენფიკა

1:0 ხოხლოვი (41), 1:1, 1:2 ნუნო გომეში (47პ, 65), 2:2 ვან ნისტელროი (88)
ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ლუსიუსი, სკერლა, ხავიერი, ვან დერ ვეერდენი, ივანი (რომდალი 72), ვან დერ დულენი (ბრუგინკი 82), ხოხლოვი, კოლკა (გახოკიძე 72), ვან ნისტელროი, ნილისი
ბენფიკა: ოვჩინიკოვი, ანდრადე, ტომასი (სალადო 67), ელ ხალეჯი, გუიარა, მინტო, პობორსკი (პრინგლი 80), ლეალი, პემბრიჯი (ბასტო 87), ჟოაო პინტუ, ნუნო გომეში

### ლაუტერნი 5:2 ჰიკ

0:1 ილოლა (29), 1:1 როსლერი (44), 2:1 მარშალი (49), 3:1 როსლერი (61), 3:2 ლუის ანტონიო (68), 4:2 როსლერი (80), 5:2 რიშე (85)
ლაუტერნი: რიანკე, სფორცა (რიდლი 85), ჰრუტკა, იბრაჰიმი, რამზი, ბალაკი (რიშე 46), რაიხი, ბაკი, კოხი (როსლერი 38), მარშალი, ხრისტოვი
ჰიკ: ვიანდერი, ტიინენი, ტურპაინენი, ნულანდი, საასტამოინენი, ილოლა, ლეკოუსო, კუკი (ლუის ანტონიო 60), რიჰილაჰტი, კოტილა (ფორსელი 83), პირასაია (კოფტეფი 66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაუტერნი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| ბენფიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| ეინდჰოვენი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:11 | 7 |
| ჰიკ | 6 | 1 | 2 | 3 | 8:12 | 5 |

**კალათბურთი. ევროლიგა. IX ტური**

B ჯგუფი

ციბონა 76:70 ეფესი

C ჯგუფი

კინდერი 86:65 ცსკა

D ჯგუფი

პაოკ 68:59 ტიმსისტემი

ვილერბანი 77:73 რეალი

# ესე ამბავი თურქული

## ქართველი ბავშვები სიკვდილს თურქმა მწვრთნელმა გადაარჩინა

ქართული ფეხბურთი კრიზისშია. ქართულ ფეხბურთს შველა ესაჭიროება. ჩვენში საფეხბურთო მეურნეობა მოშლილი და გაცამტვერებულია. გამოსავალი არ ჩანს... აგერ უკვე რამდენი წელია, ამაზე ვლაპარაკობთ.

— რა ფეხბურთი? თუ ძმა ხარ, ამათ მტერმა უყურა, კარგი, რა — ვიტყვით და მორჩა. ყველაფერი მექანიკურადაა, ქართულ ფეხბურთს რომ ახსენებ, იქ გაჭირვებაზე, კრიზისზე, უფსკრულში გადაჩეხვასა და ათას უბედურებაზე წუწუნიც უნდა დააყოლო, თორემ არაფერი გამოვა. გავიგეთ, ბატონო, უჭირს ქართულ ფეხბურთს, რა ვქნათ ახლა, ვისხდეთ და ვიმეოროთ ყოველივე დაუსრულებლად? ეს დალოცვილი საფეხბურთო მექანიზმი მარტო ბურთის გორებას, ჩემპიონატის ჩატარებას და დელეგატის მატჩზე მივლინებას რომ არ მოიცავს, ყველამ კარგად ვიცით. აქ ათასი ნიუანსია გასათვლელი, გადაჯაჭვულია ყველა რგოლი, ბავშვთა ფეხბურთიდან დაწყებული, ვეტერანთა საიუბილეო საღამოთი დამთავრებული.

ეს შესავალი ერთი არცთუ ძველი, მაგრამ მივიწყებულ ფაქტის გასახსენებლად დაგვჭირდა. ფაქტი კი ასეთი იყო.

1998 წლის 22 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტის ნოდარ ანდრიაძის ხელმოწერით გაიგზავნა თანხმობა სამი ფეხბურთელის — მიხეილ ბობოხიძის, დავით სირაძისა და ჯაბა თავბერიძის ტრანსფერზე თურქულ „ერზურუმსფორში". სამივე ახალგაზრდა 35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელი იყო, უბრალოდ, „დინამო 2"-ში თამაშობდნენ. ჩვენში დებულებით გათვალისწინებულია, რომ თუ რომელიმე კლუბს საფეხბურთო სკოლასთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, შეუძლია, ნებისმიერ მატჩზე ხუთი მოთამაშე წაიყვანოს და გუნდში ათამაშოს. ასეთი კონტრაქტი კი თბილისის „დინამოსა" და 35-ე საფეხბურთო სკოლას შორის არსებობდა. 1996 წელს ალმასკომის რიგგარეშე სხდომამ დებულებაში ახალი პუნქტი შეიტანა — 18 წლამდე ასაკის ფეხბურთელის ტრანსფერი აკრძალულია, თუ საქმე ფეხბურთელის მოწინავე საფეხბურთო ქვეყანაში გადასვლას არ ეხება. ასეთად ალმასკომმა შვიდი ქვეყანა მიიჩნია — გერმანია, ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ჰოლანდია და ბელგია. დანარჩენ ქვეყნებში აღნიშნული ასაკის მოთამაშეს მხოლოდ სტაჟირების უფლება ეძლეოდა, ისიც განსაზღვრული ვადით და თანაც ამ საკითხზე საფუძვლიანი მსჯელობის შემდეგ. მოკლედ, ნოდარ ანდრიაძემ ტრანსფერზე (რომელზე საუბარიც, დებულების თანახმად, საერთოდ არ უნდა ყოფილიყო, რადგან იმ დროისთვის ბობოხიძის, სირაძის და თავბერიძის ასაკი 16-17 წელს არ აღემატებოდა) თანხმობა განაცხადა და ქართველი ახალგაზრდებიც თურქეთში აღმოჩნდნენ. სხვათა შორის, ეს გადაწყვეტილება ანდრიაძემ ჩივაძის გარეშე მიიღო (სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მაშინ მოსკოვში იმყოფებოდა). და დაიწყო... მომხდარით აღშფოთებულმა „დინამოს" დირექტორატმა სასწრაფოდ მოიწვია, პრესკონფერენცია.



გურამ [illegible] ფოტო

განსაცდელს გამოქცეულნი: მიხეილ ბობოხიძე და ჯაბა თავბერიძე

*რომან შოთაძე:* „ფედერაციამ გამაოგნებული ნაბიჯი გადადგა. ასე თუ გაგრძელდა, მალე ბავშვების მასობრივი გადინება დაიწყება და მომავალ თაობაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება. ბავშვებს „დინამოსთან" კონტრაქტი აკავშირებდათ, ანდრიაძემ კი ერთი ხელის მოსმით გადაუსვა ხაზი ყოველივეს." არანაკლებ ცხარობდა 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორის მოადგილე ოთარ შენგელია: „ანდრიაძემ გაუგონარი რამ ჩაიდინა, ბავშვები, ფაქტობრივად, მამლუქებად აქცია და თურქეთს გაისტუმრა."

გულხელდაკრეფილი არც ვიცე-პრეზიდენტი იყო და გალმა შეედავეს პრინციპით მოქმედებდა „სამივე ახალგაზრდა „დინამოს" კაბალური ხელშეკრულებით ჰყავდა დასაკუთრებული, მათ ამ კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტზე მოაწერინეს ხელი. ეს კი დებულებით აკრძალულია, თვრამეტ წლამდე ფეხბურთელთან მაქსიმუმ სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებაა დაშვებული. ბავშვების მდგომარეობა გაითვალისწინე მათმა მშობლებმა დახმარება მთხოვეს". რა უნდოდათ მშობლებს? ისინი შეწუხებული იყვნენ შვილების მდგომარეობით („ბავშვებს არანაირი პერსპექტივა არ უჩანდათ, თვეების მანძილზე ხელფასსაც კი არ ღებულობდნენ კლუბიდან") და გამოსავალს მათ თურქეთში წასვლაში ხედავდნენ. მოკლედ, ასეთი სიტუაცია იყო სექტემბერში.

ვიდრე შემდგომ მოვლენებზე გადავიდოდეთ, „მამლუქობის აღსაკვეთად" გამართული პრესკონფერენციიდან ერთსაც გავიხსენებთ. რომან შოთაძე: „ამ საკითხს ასე არ დავტოვებთ. სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს ალმასკომის საგანგებო სხდომა და ანდრიაძის მცდარი გადაწყვეტილება გააუქმოს, დამნაშავე კი საკადრისად უნდა დაისაჯოს". ა, ბატონო, ვთქვით და მორჩა. რა ალმასკომი, რის საგანგებო სხდომა, თქვენც არ მომიკვდეთ, ხომ მოხდა ცუდი რამ, დებულებას მივაფურთხეთ, უმწეო ბავშვებიც მამლუქებად ვაქციეთ, მერე რა, ხმაც ავიმაღლეთ, მომხდარი დავგმეთ, თითები ვიქნიეთ და დავამთავრეთ, გასაკეთებელიც გავაკეთეთ...

მომხდარ ფაქტს მოგვიანებით სხვა ფორმა მიეცა, თითქოს სამივე ფეხბურთელი სტაჟირებისთვის ექვსი თვით გაიგზავნა „ერზურუმსფორში". თქვე დალოცვილებო, ხომ გასაგებად წერია დებულებაში — ფეხბურთელი სტაჟირებაზე ორი კლუბის ურთიერთშეთანხმებით იგზავნება, შემდგომ საგანგებო მსჯელობებს და გადაწყვეტილების მიღებებს რომ დავანებოთ თავი. თურქულ კლუბს კი არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია არც 35-ე საფეხბურთო სკოლასთან და არც „დინამოსთან". უბრალოდ, დასჭირდა სამი ფეხბურთელი, გადაწყვიტა და უპრობლემოდაც წაიყვანა, შედარებით იოლი და სარფიანი გზით.

დღეს კი ასეთი მდგომარეობაა. ლევან გორხელაშვილი სფფ-ს იურისტი, სატრანსფერო კომისიის თავჯდომარე: „აღნიშნული ტრანსფერი ჩემს გარეშე განხორციელდა, საქმის კურსში არ ვიყავი. ყველაფერი ნოდარ ანდრიაძის გადაწყვეტილია. ვიცით, რომ სერიოზული დარღვევები იყო და ალბათ, უახლოეს დროში ამას ოფიციალურად დავადასტურებთ, შესაბამის გადაწყვეტილებასაც მივიღებთ".

ადვილი შესაძლებელია, ფედერაციას გადასწყვეტი არც არაფერი დარჩეს. მიხეილ ბობოხიძე და ჯაბა თავბერიძე დღეს თბილისში არიან და თურქეთისკენ გახედვაც არ უნდათ. სანამ უშუალოდ მათ ამბავზე გადავიდოდეთ, მოვიყვანთ ნაწყვეტს ნოდარ ანდრიაძის ინტერვიუდან, რომელიც ფეხბურთელების თურქეთში წასვლამდე გამოქვეყნდა: [illegible] მთავარი კი ის არის, რომ ნორჩები იქ შესანიშნავ პირობებში იქნებიან." „შესაშური ინტუიცია" ჰქონდა ბატონ ნოდარს, თუმცა აჯობებს, თავად ფეხბურთელებს მოვუსმინოთ.

*მიხეილ ბობოხიძე:* „თურქეთში, დავით სირაძის მამის — სოსო სირაძის ხელშეწყობით მოვხვდით. მას მჭიდრო კონტაქტი აქვს „ერზურუმსფორის" ერთ-ერთ წარმომადგენელთან, თავდაპირველად დათო წავიდა იქ, შემდეგ გაირკვა, რომ თურქებს კიდევ ორი ფეხბურთელი სჭირდებოდათ და ბატონ სოსოს დახმარებით მე და ჯაბაც ერზურუმს გავემგზავრეთ".

*ჯაბა თავბერიძე:* „თვეში სამას დოლარს გვიხდიდნენ, მწვრთნელები ჩვენით კმაყოფილნი იყვნენ, მაგრამ გუნდში აუტანელი სიტუაცია იყო. თურქი ფეხბურთელები ამრეზით გვიყურებდნენ და ერთთავად ჩვენს დამცირებაში იყვნენ. ვარჯიშებზე გამეტებით გვირტყავდნენ ფეხებში, ელემენტარულ სათამაშო სიტუაციაში გვაფურთხებდნენ, წაქცეულებს ფეხს წამოგვარტყავდნენ და უშვერად გვლანძღავდნენ. მე ქართველი ვარ, ჩემი თავმოყვარეობა მაქვს და მის შელახვას არავის ვაპატიებ..." საუბარში მიხეილი ჩაერია:

— ამის შესახებ გუნდის მესვეურთ არაერთხელ ვუთხარით, მოვაგვარებთ სიტუაციასო გვპირდებოდნენ, მაგრამ ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა. ბოლოს ვერ მოვითმინე და ჩემს შეურაცხმყოფელს დავარტყი, მთელი გუნდი დაგვესია, ათი კაცი გვირტყამდა, მწვრთნელებს რომ არ შემოესწროთ, ალბათ დაგვხოცავდნენ, ჩვენი იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა და წამოვედით.

ესეც საუკეთესო თურქული პირობები ნორჩებისთვის. არ არის ტრაგედია? თუ მაინც და მაინც ყოველივე უბედური შემთხვევით უნდა დამთავრებულიყო. ასე გაგრძელება არ შეიძლება, დროა, ბევრ რამეს პასუხი გაეცეს, თუკი გვინდა საერთოდ ფეხბურთი გვქონდეს. ამას კი მხოლოდ ლაპარაკი კარგა ხანია, აღარ შველის... მიხეილ ბობოხიძემ ისიც გვითხრა, ერზერუმში წასვლამდე ტრაპიზონში ვიყავიო, მაშინ „ტრაბზონსფორის" ფარმ-კლუბში ვისინჯებოდი, მწვრთნელებსაც მოვეწონე და ორი თვის შემდეგ დამიბარესო. მოკლედ, ვერც ვერავინ გაიგებდა, მაშინ რომ ბობოხიძე ტრაპიზონში დარჩენილიყო. იქნებოდა იქ, მისცემდნენ თურქები თვეში 300 დოლარს და კარგად იყავი ნიჭიერ თაობათა მომლოდინე, ქართულო ფეხბურთო.

რაც შეეხება მესამე „მამლუქს", დავით სირაძეს, იგი კვლავ „ერზურუმსფორშია" (როგორც ჩანს, ადრე ჩასულმა შედარებით ადვილად გაიარა ადაპტაცია) და, ალბათ, იქვე დაელოდება ქართული ფეხბურთის მესვეურთა „ახლო მომავალში" მისაღებ გადაწყვეტილებას.

**პაატა ქვანტალიანი**

# იყიდე... გაყიდე... რა ქარვასლაა?!

მორიგი ქართული სამარცხვინო ფაქტი, ისევ საწუწუნო და სავიშვიშო, ისევ დღეს მაცხონეობა და დოყლაპიობა. მაგრამ კი „იჩალიჩეს" ყველამ — ის ხალხი გვყავს მხედველობაში, ვინც ჯერაც ჩამოუყალიბებელი ფეხბურთელების „ერზურუმსფორში" „სტაჟირებაზე" იზრუნეს. ყველანაირი საქმე კეთილი ბოლოთი იზომება და თუ ქართველი „მამლუქების" მორიგი ისტორიის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩაუფლავდათ და მწარედაც ჩაუფლავდათ ეს საქმე მის „მომკვარახჭინებლებს". არადა, ვინ არ ერია ამ ახალქართულ კომბინაციაში — სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი (ყოფილი), ახალგაზრდა ფეხბურთელების მშობლები, „დინამო", სატრანსფერო კომისია, საფეხბურთო სკოლა და ბოლოს, თურქეთის მხარეც. ვის გინდა პასუხი მოსთხოვო და აგებინო ერთს, მეორეს, მესამეს თუ მერამდენეს. თურქებს რა, პირველად გვიშალეს პირი, შერცხვებათ რამესი თუ ბოდიშს მოიხდიან რამეზე?! განვითარებული საფეხბურთო ქვეყანაო, ვიძახით ჩვენ და ისეთი რაღაცეები ხდება ამ „განვითარებულ საფეხბურთო ქვეყანაში", უფრო ჯუნგლების კანონებით რომ იზომ-იწონება. თუმცა უფრო დაწვრილებით.

### თეთრი ქარავანი

ამ ბოლო დროს ქართული ფეხბურთის დონე ყველასთვის საქილიკო და სასაცილო გახდა. კი გვასწავლის ჭკუას ყველა, ვისაც არ ეზარება, მაგრამ არც ეგრეა საქმე. ყოველ შემთხვევაში, ისეც არ დავცემულვართ, ამვლელსაც და ჩამვლელსაც ფეხქვეშ გავეგოთ. არადა, ყველაფერი იქეთკენ მიდის, ნებისმიერისთვის ხელწამოსაკრავი რომ გახდეს ქართული ფეხბურთი. საწუხარი უფრო ისაა, ჩვენივე დოღრიალობით რომ ვაძლევთ საბაბს უცხოტომელებს, დაგვცინონ და შეგვიგინონ ქართული ფეხბურთი.

ჩვენ ეროვნული ნაკრების კანდიდატებზე გავიძახოდით, ქვეყანას ტოვებენ, მიგრაცია ჭირად გვექცაო და ზრდასრულ, ჩამოყალიბებულ მობურთალებს ვინლა ჩივის, სულ მთლად ბავშვების გასხვისებასაც შეუდგნენ ქართული საფეხბურთო საქმოსნები.

ფსიქიკის, გონების გადაგვარებას, აბა, სხვას რას უნდა დაბრალდეს ის შემთხვევა, რომ 16-17 წლის ბიჭები რომელიღაც თურქულ პროვინციაში იგზავნებიან ეგრეთ წოდებულ „სტაჟირებაზე", თანაც ისე, რომ ილახება მათი საფეხბურთო სკოლის, საფეხბურთო გუნდის, ქართული ფეხბურთის და ბოლოს, თვით ამ ბიჭების უფლებები. საფეხბურთო სკოლა ზრდის ფეხბურთელებს და უკუგებას ვერ იღებს... გუნდი თავის შემადგენლობაში იგულვებს ფეხბურთელებს, კონტრაქტი აქვს მასთან და ეს ფეხბურთელი ისე შედის უცხოეთში, კლუბი არც კი არის საქმის კურსში.. თვითონ სპორტსმენი კი გუნდისაა უკმაყოფილო — არ მათამაშებდნენ, ხელფასს ვერ ვიღებდი და იქ ყოფნას რა აზრი ჰქონდაო... მოდი და ეძებე მტყუანმართალი.

ერთიცაა, „მამლუქთაგან" სამივე თავისი თაობის ნიჭიერ წარმომადგენლებად ითვლებიან და აწყობს კი ჩვენს ფეხბურთს მათი ასე „უპრაგონოდ" გასხვისება? ასე შორს ვერ წავალთ, როგორმე უნდა შეიცვალოს ქართველი ფეხბურთელებისადმი მიდგომა და როგორმე უნდა შეიცვალონ თვითონ ქართველი ფეხბურთელებიც. სხვანაირად, ყველას უცხოეთში სურს თამაში და პრინციპი „ყველგან, ოღონდ არა საქართველოში" რა სიკეთესაც დაგვაყრის, მალე დავინახავთ (თუ ვერ დავინახეთ უკვე?!)

მიდიან და მიდიან უცხოეთში ქართველები. ქარავანიც ასეთი უნდა — პირდაპირ აავსეს ქართველმა ფეხბურთელებმა რუსეთის, ბელგიის, ისრაელის „ჭ" კლასის გუნდები. ახლა ყაზახეთსა და მოლდოვასაც მიეტანნენ. ისეთი შემთხვევებიც ვიცით, რომ ქართული გუნდიდან გაპარული ფეხბურთელები თურქეთში კარდაკარ დაწანწალებდნენ და ბურთის თამაში ვიცით, ეგებ გუნდში აგვიყვანოთო, თხოვდნენ მეზობლებს. ნორმალურია მერე ეს? არ უნდა შეიცვალოს ვითომ სიტუაცია?

### ყველა დამნაშავეა

არავინაა ამ საქმეში მართალი. ყველა დამნაშავეა — მოყოლებული მაღალთანრიგოსანი ჩინოსნებიდან, დამთავრებული ახალგაზრდა ფეხბურთელთა მშობლებით.

„ძველ" სფფ-ში რომ ყველაფერი რიგზე არ იყო, ადრეც ვიცოდით და აწი და აწი მეტად განათლდება ყველაფერი. ხსენებულ საქმეს რომ ცუდი სუნი უდიოდა, ამაზე პირველად „დინამოს" დირექტორატმა აიმაღლა ხმა... ამ ხმას კი წაუყრუეს.

დამნაშავეა „დინამოც". მარადი ჩემპიონის მთავარი მწვრთნელი ფეხბურთელზე (ბობოხიძეზე) ამბობს, რომ იგი უნიჭიერესი ახალგაზრდაა და ამ დროს მოთამაშე ამბობს, რომ სამი თვეა, არც ხელფასი აუღია, არც უთამაშია და არც მოუკითხავს ვინმეს.

დამნაშავეა სფფ-ს სატრანსფერო კომისიაც. ფიფას დადგენილებით, თუ ფეხბურთელი კლუბიდან კლუბში აგენტის ჩაურევლად გადავიდა, ამ უკანასკნელს შეუძლია ჩაშალოს გარიგება. სატრანსფერო კომისის თავკაცის განცხადებით, ისინი ბოლოს შეიყვანეს საქმის კურსში, მაგრამ ფიფას წესებით მას მაშინაც შეეძლო სიტუაციის კონტროლი (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებდა).

დაბოლოს, დამნაშავენი არიან ფეხბურთელების ახლობლებიც, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მგელს ცხვარი ხახაში არ უნდა ჩაუგდო და თუ მაინცდამაინც მოხდება ასე, უნდა მიხედო კიდეც (ცხვარს, ანუ ფეხბურთელს).

როგორ შეიძლება, 16-17 წლის ბავშვი ანდო სრულიად უცხო გუნდს, უცხო ხალხს, რომელიც საქმე საქმეზე რომ მიდგება, აუცილებლად გიგანებს.

აკი უგანეს ნემსაძეს თურქებმა, ლამისაა, სასწორზე შეაგდეს ერთ-ერთი ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელის, ჯამარაულის კარიერა და რა დღეში ჰყავთ ლტოლვილი ქართველი ბავშვები აგერ, რახანია (მკვლელობას აბრალებენ), ხომ ცნობილია?

ჰოდა, ვინ უნდა აგოს პასუხი? მარტო დაკარგული ოთხი თუ ხუთი თვე როდი გვაქვს მხედველობაში, იმ მორალურ დანაკარგს ვინ აუნაზღაურებს ქართველ ბიჭებს, თურქეთში რომ მიაყენეს?

და, ბოლოს და ბოლოს, ქართველებმაც რომ უნდა ისწავლონ ისეთი გარიგებების დადება, რომლებიც თანაბარ პირობებში ჩაგვაყენებს თურქებთანაც, ინგლისელებთანაც და საერთოდ ყველასთან...

ესეც გეორგიევსკის ტრაქტატი ხომ არ არის?

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# სანამ კოკას წყალი მოაქვს

ბადრი კეთილაძის ფოტო



მოგონებანი გარდასულ დღეთა: ჯერ კიდევ შარშან როინ მარღიშვილი, ვაჟა თარხნიშვილი, გია ჭანტურია და გიორგი რევაზიშვილი „დილას“ სახელისთვის ირჯებოდნენ

ის კარში ხელმტკივანი ჩადგა. თამაშის წინ გამაყუჩებელი ნემსი გაუკეთეს.

თავად პროტესტი არ გამოუთქვამს. ალბათ, მურთაზ ხურცილავამაც კარგად იცოდა, რა რისკზეც მიდიოდა. ვერ გაამართლა ექსპერიმენტმა. მკლონიურმა „ვარდარმა“ ბათუმში „სამტრედიას“ ორი უპასუხო გოლი გაუტანა. ტრავმირებულმა გია ჭანტურიამ ვერ შეძლო, გუნდი გადაერჩინა. ჯერაც დაუღვინებელ, თანაც ცალხელა მეკარეს დიდი ფსიქოლოგიური ტვირთი დააწვა ზურგზე. პირველ გაშვებულ გოლსაც ხომ მას აბრალებდნენ.

„სამტრედია“ მას შემდეგ ევროსარბიელს არ ღირსებია. არც ჭანტურია შეყოვნებულა დიდხანს გუნდში. „მოგზაურობა“ ადრეც უყვარდა. გორი, თბილისი, სამტრედია, რუსეთი, შუა აზია, ქუთაისი. 25 წლის ბიჭმა ბევრგან მოასწრო თამაში. ზოგან უმართლებდა, უფრო ხშირად დროს ფუჭად ფლანგავდა. ერთიცაა, დაბედა თუ რა, ჭანტურიას ყველგან აყალმაყალი და უთანხმოება თან სდევდა.

თავისთავად, გია არასდროს ყოფილა მოამბოხე და კონფლიქტური პიროვნება. ყველა საქმეს უდიდესი ენთუზიაზმით და თავდადებით იწყებდა, მაგრამ თავისდა საზიანოდ ხშირად საქმეს შუა გზაზე ანებებდა თავს. ჩინებულ ფორმაში მყოფი ვარჯიშს წყვეტდა. ნერვებსაშლილი გულშემატკივრებთან მოკამათეც გვინახავს. მერე გადაიკარგებოდა და ისევ ბრუნდებოდა. ასეთი საქციელი ახალგაზრდა, გამოუცდელ კაცს ახასიათებს.

გია ჭანტურიას ზურგსუკან რამდენიმე რთული სეზონი მოუტოვებია. ამათგან ურთულესი, რა თქმა უნდა, 1995-96 წლების ჩემპიონატი იყო. საჩემპიონოდ მებრძოლი „სამტრედიას“ კარი მუდამ მის იმედად იყო. მთელი სეზონი, ფაქტობრივად, შეუცვლელად ჩაატარა. ეს მისი საუკეთესო ჩემპიონატი იყო. მანამდე გიას ამბიციურ კლუბში არ ეთამაშა. იყო გორის „დილა“ და მარადი შუათანობა. თბილისის „შევარდენი“ და მეექვსე ადგილი ჩემპიონატში.

ის ნელ-ნელა უმატებდა, თამაშს ხვეწდა, გამოცდილებას იძენდა. როცა თამაშის იმტაზეა მოსული, მაშინ შეუდარებელია საზზე. შეუძლია ურთულესი ბურთები მოიგერიოს. შედარებით სუსტია გამოსვლებზე. სხვებისგან განსხვავებით ფეხით სოლიდურად თამაშობს.

საერთოდ ასეა, ვარჯიშის დაწყებამდე მეკარეები ცალკე ხურდებიან, მინდვრის მოთამაშენი ცალკე. ვარჯიშებიც განსხვავებული და ორიგინალურია. გია კი ამ დროსაც უცნაურია. ის წინა ხაზის მოთამაშესავით ხურდება, შემდეგ „კვადრატს“ გააჩაღებს და კარში მერე ჩადგება. გუნდში ახალმისულს მწვრთნელებმა ეს ახირებულობა თავიდანვე შეატყვეს. დაუცაცხანეს, გონზე დროზე მოდიო, უთხრეს. ჭანტურიამ სხვაგვარად ვერ გავხურდებიო, დაუმტკიცა უფროსებს, მათაც რაღა დარჩენოდათ, მეკარე მართლა გიჟიაო, ჩაილაპარაკეს და თავი ანებეს.

საზღვარგარეთ და ჩვენშიც რამდენი მეკარე გვინახავს „გაგიჟებული“ მეტოქის კარისკენ რომ იწევს. ბევრს გოლიც გაუტანია. გია ჭანტურიას სულაც 90 წუთი თავდასხმაში გაუტარებია. ეს ზუგდიდში მოხდა, „ოდიში“ — „სამტრედიას“ ნამდვილქართულად, „ნაღდი მასპინძელივით“ რომ დაუხვდა.

გია ჭანტურია ჩვენში ბევრგან ითვლება შინაურ კაცად, მაგრამ გორში განსაკუთრებული სააზლობლო ჰყავს. პატივს სცემენ „დილას“ ყოფილ მეკარეს. ვაჟა თარხნიშვილი ახლაც ხმამაღლა აცხადებს, გორში რომ ჩამოვიდა ბურთს ხელში ვერ იჭერდა, ჩვენთან გატარებულმა დრომ კი მეკარედ აქციაო. შეიძლება მართალიც იყოს „დილას“ ყოფილი კაპიტანი, გიამ პირველი და სერიოზული ნათლობა გორში მიიღო.

„დილას“ ერთხელაც, წინა ჩემპიონატში, დაუბრუნდა ჭანტურია. იქიდან კი ქუთაისს მიაშურა. ახალი კლუბი, უცხო გარემო და მეტად ამბიციური „ტორპედო“ უნდა ყოფილიყო ის გუნდი, რომელიც გიას წინსვლაში დაეხმარებოდა. თავიდან საქმეები თითქოს ჩინებულად აეწყო. ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი, წარმატებული თამაშები სომხურ „ერებუნისთან“ და ბელგიურ „ლომელთან“ გასვლაზე. უეფას თასის განმეორებითი შეხვედრა „ტორპედოსა“ და ჭანტურიას ბენეფისად უნდა ქცეულიყო, მაგრამ...

გაუთვალისწინებელი ჩავარდნა, საბოლოოდ სავალალო შედეგი. უთანხმოება გულშემატკივრებთან, კლუბის ხელმძღვანელებთან. საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, გიამაც ფეხი დაკრა და ბედის საძიებლად უზბეკეთს მიაშურა. დიდი ხნით ვერც იქაურობას შემორჩა. ვერ იგუა უცხო გარემო და განსხვავებული წეს-ჩვეულებები.

ამასობაში ისევ ქუთაისიდან შეეხმიანენ. „ტორპედოში“ დაბრუნება შესთავაზეს...

— ბევრი არ მიფიქრია. „ტორპედოს“ წინაშე ვალში ვიყავი, გუნდი ისეთ ვითარებაში დავტოვე, რომ სიტუაცია ბოლომდე არ მქონდა გათვითცნობიერებული. სადაც მითამაშია, ყველგან ჩემი სახელი დამიტოვებია. არ მინდა, ქუთაისელ გულშემატკივრებს თავი ცუდად დავამახსოვრო. მე დავამტკიცებ ჩემს სიძლიერეს, სხვაგვარად არ იქნება, ვერ დავმშვიდდები.

დღესდღეობით ჭანტურია უკეთეს კლუბს ვერ იპოვის — ჩემპიონობის მაძიებელი „ტორპედო“ და ფინანსურად წელგამართული [illegible], სანატრელი საწვრთნელი ბაზა და ყველა პირობა ფეხბურთის სათამაშოდ.

ამ ხნის განმავლობაში ჭანტურიას დიდი დრო ჰქონდა დასაფიქრებლად. მან მიაღწია იმ ასაკს, როცა მეკარე საბოლოო ნახტომს აკეთებს სრულყოფისკენ. ადრინდელივით დროის ფუჭად ხარჯვა და ახალგაზრდული „ეშმაკობები“ მეკარის კარიერას არ წაადგება. ან ახლა, ანაც არასდროს.

როცა ჭანტურია თავდადებით ვარჯიშობდა, მაშინ მწვრთნელთათვის სასურველ და კლუბისთვის საჭირო მეკარედ ითვლებოდა. იგი ახლაც მეტად სჭირდება „ტორპედოს“, ქუთათურებს უიმისოდ დასახული მიზნის მიღწევა გაუჭირდებათ. ეს იმიტომ, რომ საქართველოში საშუალო კლასის მეკარეც აღარ დაგვრჩა.

— ეეჰ, წარსული დრო დამაბრუნებინა?! — რამდენ ფეხბურთელს წამოსცდენია ეს სიტყვები, რამდენს ნაღველი ჩასდგომია თვალებში. ყოველმა მათგანმა იცოდა, რომ კოკა ერთხელაც წყაროზე ტყდება, მაგრამ თავისას არ იშლიდნენ. ესეთი ხალხი ფეხბურთიდან უსახელოდ ქრება. გიასთვისაც დაგვისვამს მსგავსი კითხვა და ჭანტურიას გულწრფელად გაუცია პასუხი...

— მერწმუნეთ, ბევრ რამეს შევცვლიდი. სულ სხვაგვარად მოვიწყობდი ცხოვრებას. ადრინდელ შეცდომებს არ გავიმეორებდი და ფეხბურთშიც ბოლომდე დავიხარჯებოდი. ჩემმა პასიურობამ ბევრჯერ დამწყვიტა გული. თავის დროზე ახალგაზრდულ ნაკრებშიც ვერ მოვხვდი, მაგრამ მაშინ ნამდვილად არ ვტყუოდი, სათამაშო ფორმის პიკზე ვიმყოფებოდი. რატომ შევიქენი გარიყული, დღემდე ვერ გამიგია. ცხოვრებამ ჭკუა მასწავლა, აწი ვიცი, რა და როგორ ვაკეთო და ვფიქრობ, დაგვიანებული მგზავრის როლშიც არ ვიმყოფები.

იმედია, გია ჭანტურია კიდევ არაერთი წელიწადი ითამაშებს ფეხბურთს. არაერთ თავდამსხმელს დაუხვდება მედგრად. ფეხბურთმა მას არაერთი „შეცოდება“ აპატია. აქამდე კოკას წყალი მუდამ მოჰქონდა და რაღა ახლა გაუწყრება ღმერთი, კვლავც მოიტანსო, გვითხრა და რაკი თავისი სიტყვების თავადვე სჯერა, სხვა რა გზაა, ჩვენც უნდა ვერწმუნოთ.

კარში სოლიდურად დგომა კი ნამდვილად შეუძლია. ეს გიას არაერთხელ დაუმტკიცებია და საქართველოში კიდევ არაერთ სპეციალისტს სჯერა მისი. ვნახოთ, „ტორპედოს“ ისეთი მიზანი აქვს, კლუბმაც და მისმა მეკარემაც თავიანთი სიძლიერე გაზაფხულზევე უნდა დაგვანახონ.

**მამუკა ძმანტალიანი**

# ჯერ რუმინეთი, მერე უკრაინა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ეროვნული ნაკრების სახელზე რუმინეთიდან ფაქსი მოვიდა, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ კარპატელებს ჩვენს ეროვნულ გუნდთან საკონტროლო თამაშის გამართვა მოუსურვებიათ.

შეიძლება ითქვას, რუმინელები ძველ ვალს უბრუნებენ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს — როგორც გახსოვთ, 1996 წლის 24 აპრილს ქართველები კარპატეთს ეწვივნენ და 0:5 მწარე მარცხიც იწვნიეს.

როგორც ეროვნული ნაკრების პრეს-ატაშემ გვაცნობა, რუმინელები ორი — პირველი და ახალგაზრდული ნაკრებებით გვეწვევიან და სპარინგ-მატჩი 1999 წლის 10 მარტს გაიმართება. ასე რომ, გუცაევს და კომპანიას წინ დაძაბული მარტის თვე ელით — 10-ში რუმინელებთან, 20-ში უკრაინელებთან, 27-ში კი სლოვენებთან მოუწევთ თამაში.

სარბიელის არქივიდან



ზვიად ჯელაძე (მარჯვნივ)

# ძმა ძმისთვისო

ამას წინათ „დინამოს“ საწვრთნელ ბაზასთან მისულებმა უმცროსი ძმა ჯელაძე შევნიშნეთ. როგორც „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, გიზო რუსეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში მოთამაშე სარატოვის „სოკოლ პჟდ“-ში ირიცხება და სეზონის დამთავრებისთანავე საქართველოში დაბრუნდა. დილმის ბაზაზე კი შემთხვევით არ შეუვლია უმცროს ჯელაძეს. როგორც გავიგეთ, მას თავისი უფროსი ძმის სარატოვში წაყვანა მოუნდომებია და თუკი ობიექტურად შევხედავთ სინამდვილეს, უარზე არც ზვიადი უნდა იყოს.

ამაზეა ნათქვამი — ძმა ძმისთვისაო...

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



ვალტერ გუჩუას მორიგი „პადკატი“

# ყოფნა, ვალტერ, ყოფნა!

ამასწინანდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ თბილისის „დინამოში“ მისი მცველის, ვალტერ გუჩუას ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. გუნდის მესვეურებს ამ შემთხვევის მიზეზად ფეხბურთელის მიერ რეჟიმის დარღვევა მოჰყავდათ.

„დინამოს“ ხელმძღვანელობამ ისიც დაამატა, რომ თუკი გუჩუა სათანადო დასკვნებს გააკეთებდა, იგი გუნდში დარჩებოდა. ასეც მოხდა. ეტყობა, ვალტერ გუჩუამ გაანალიზა შექმნილი სიტუაცია და როგორც „დინამოს“ თავკაცმა მურთაზ ხურცილავამ ჩვენთან ამასწინანდელ საუბარში აღნიშნა, ფეხბურთელი „დინამოში“ დარჩება.

# მერანი მშვიდადაა

როგორც „მერანის“ თავკაცმა სერგო გაბელაიამ „სარბიელთან“ საუბარში აღნიშნა, ტრანსპორტელები ათ იანვრამდე არ შეიკრიბებიან. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ მერანელები ნააახალწლევს „სინათლის“ სტადიონზე მოიყრიან თავს და პირველ შეკრებას იქ გაივლიან. ამის შემდეგ გუნდის მეპატრონეები გადაწყვეტენ, თუ სად გააგრძელებენ მეორე წრისთვის მზადებას „მერანის“ ფეხბურთელები.

გუნდიდან წასვლის სურვილი ჯერ არავის გამოუთქვამს, არც მომსვლელთა ვინაობაა ცნობილი. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ჯერჯერობით ამაზე საუბარი ნაადრევია — აღნიშნა სერგო გაბელაიამ.

# გურია ბეწვზე ჰკიდია

ძველებურად ბეწვზე ჰკიდია გურიას ბედ-იღბალი. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ლანჩხუთური გუნდი, ფაქტობრივად, არც არსებობს. ფეხბურთელები დაიფანტნენ და მათი ასავალ-დასავალი დღემდე არავისთვისაა ცნობილი.

არავინ იცის ისიც, მომავალში ეშველებათ თუ არა გურულებს. სეზონის გაწყვეტამ დროებით კი მიაწყნარა „გურიას“ პრობლემები, მაგრამ მალე გაზაფხულიც მოვა და როგორ გგონიათ, შეძლებენ კი ლანჩხუთელები მანამდე გუნდის საქმეების მოწესრიგებას.

როგორც გავიგეთ, ფეხბურთელებს გუნდის მესვეურთათვის პირობა წაუყენებიათ — 25 დეკემბრამდე დაფარონ დავალიანება და პრემია-ხელფასები გაუსტუმრონ, თუკი ასე არ მოხდა „გურია“ საერთოდ უფეხბურთელებოდ დარჩება.

# ზღვა, თოვლი, ისევ ზღვა

მართალია, მეათე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე მიიწურა და ქართული კლუბები საშობაო არდადეგებს „მიეცნენ“, ჩვენი გუნდების უმეტესობა უკვე აქედანვე შეუდგა მეორე წრისთვის მზადებას. თუ შეკრებამდე და სავარჯიშო პროცესებამდე ჯერ შორია, მოსამზადებელი პერიოდი უკვე ბევრმა კლუბმა დაგეგმა. ჩვენთვის ცნობილი გახდა ფოთის „კოლხეთის“ სავარჯიშო გეგმა: კოლხები უქმეებს ოჯახებში გაითენებენ და შობის მერე, 10 იანვარს, შეიკრიბებიან. ფოთელები ბაკურიანში ორკვირიან შეკრებას გაივლიან და შემდეგ ისევ ზღვისპირეთს დაუბრუნდებიან.

# თუ წასვლაა, წასვლა იყოს

საქართველოს მარად ჩემპიონს, თბილისის „დინამოს“ რომ ფეხბურთელთა გვარიანი ჯგუფი უპირებს დატოვებას, უკვე გამცნეთ. ამათგან ბელგიაში გადასულები — კიკნაძე, ხომერიკი და ცქიტიშვილი იყვნენ პირველი მერცხლები. თუმცა „დინამოდან“ მიგრაცია არც ამით დამთავრებულა. სანდო წყაროებიდან „სარბიელისთვის“ ცნობილი გახდა, რომ უცხოეთს წასვლას დიდავა, აშვეთია და გუჩუაც ეშურებიან. ესაა, ფეხბურთელებმა თავადაც არ უწყიან, სად და რომელ კლუბში მოუწევთ თამაში.

ისე, თუ წასვლაა, წასვლა იყოს — „ჭ“ კლასის უცხოურ გუნდებში თამაშს რომ ისევ „დინამოში“ გარჯა სჯობს, თვითონ ფეხბურთელებიც დაგვეთანხმებიან.

# ტრაგიკული დაძაბულობა

UEFA CUP

## უეფას თასის 1/8 ფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა



ლივერპული — სელტა. ესპანელებმა ინგლისელებს ჰაერშიც აჯობეს

უეფას თასის მიმდინარე გათამაშება წინამორბედებისაგან გამორჩეული გამოდგა — მეოთხედფინალში გასული რვა გუნდი მხოლოდ სამ ქვეყანას — იტალიას, საფრანგეთს და ესპანეთს წარმოადგენს. სამი მათგანი აპენინებიდან არის — წლეულს ყველასათვის მოულოდნელად (რობერტო ბაჯოს „ინტერში" გადასვლის შემდეგ) კარგად მოთამაშე „ბოლონია" და სკუდეტოსათვის თავგამოდებით მებრძოლი ორი კლუბი — უმაღლესი დონის ფეხბურთელებით (განსაკუთრებით დაცვაში) სავსე „პარმა" და შესანიშნავად შეთამაშებული, გუნდური ფეხბურთის მიმდევარი „რომა".

სამი კლუბი საფრანგეთისაა და პრინციპში ეს არც არის გასაკვირი, ფრანგები ხომ მსოფლიოს ჩემპიონები არიან. „ბორდო" და „მარსელი" ქვეყნის პირველობაში პირველ-მეორე ადგილებზე იმყოფებიან, ვარსკვლავებიც ბლომად ჰყავთ და მათი მეოთხედფინალში გასვლაც ამიტომ არის ლოგიკური. აი, „ლიონის" უძლიერეს რვა გუნდში მოხვედრა კი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია.

დანარჩენი ორი გუნდი ესპანურია. „სელტა" პრიმერა დივიზიონშიც მშვენივრად გამოდის (მესამე ადგილზეა) და ევროტურნირებზეც, ხოლო მადრიდის „ატლეტიკოს" სეზონის დასაწყისში ცოტა გაუჭირდა, მაგრამ ბოლო დროს მოუმატა, ჩემპიონატშიც მეხუთე საფეხურზე აინაცვლა და უეფას თასის მოსაპოვებლადაც ღირსეულად იბრძვის.

ახლა კი დაწვრილებით მიმოვიხილოთ, როგორ დაძლიეს მათ მერვედფინალური ბარიერი.

პირველ რიგში მელვინეობის მექას, ბორდოს ვეწვიოთ, სადაც უნდა გარკვეულიყო, ითამაშებდა თუ არა ქართველი კაცი ზედიზედ მეორედ უეფას თასის მეოთხედფინალში (შარშან ეს შოთა არველაძემ მოახერხა).

სამწუხაროდ, მიხეილ ყაველაშვილის „გრასჰოპერმა" „ბორდოს" ვერც გაუტანა და არც გაუშვა, რამაც მასპინძელთა წისქვილზე დაასხა წყალი. არადა, შვეიცარიელებმა ორი საკმოდ სახიფათო მომენტი შექმნეს და ორივეში ყაველაშვილი მონაწილეობდა. ქართველმა ფორვარდმა ჯერ მშვენიერი პასით მოძებნა ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი თანაგუნდელი, შემდეგ კი თავად იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ ფრანგთა კარის დარაჯმა ულრიხ რეიმმა აჯობა. ციურიხელები ბორდოს ერთ-ერთი ლიდერის — ქუბილაი თურქილმაზის გარეშე ეწვივნენ, რომელსაც ტრავმა აწუხებს, ამას ისიც დაემატა, რომ მატჩის მე-12 წუთზე სტუმართა რუმინელი ნახევარმცველი მიჰაი ტარარახე ჰოლანდიელ კიკი მუსამპას ეუხეშა და თავისიანები უმცირესობაში დატოვა. ერთი სიტყვით, მიხეილის გუნდს ძალიან უჭირდა და საფრანგეთში მიღწეული ფრეც დამაკმაყოფილებელ შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ.

— ურთულესი შეხვედრა იყო, რაც წინასწარ ვიცოდი და ამისთვის ბიჭები საგანგებოდაც მოვამზადე. ახლა ყველაფერი უკან არის და ჩვენ მეოთხედფინალში ვართ. არავის ეგონოს, ამით დავკმაყოფილდებით, ოღონდ ეგ არის, კენჭისყრისას უნდა გაგვიმართლოს და ფრანგულ კლუბებს ავცდეთ. თუ ასე მოხდება, ძალიან ნასიამოვნები დავრჩები და ეფიქრობ, „ბორდოს" ქომაგებს მომავალშიც გავახარებთ — ფრანგთა დამრიგებელი ელი ბოპი სიხარულს ვერ მალავდა.



ატლეტიკო — სოსიედადი. მასპინძელთა ბრაზილიელი გამთამაშებელი ჟუნინიო აკრობატულ ნახტომში

ალფრთოვანებულები იყვნენ ლიონელებიც, რომლებმაც სტუმრადაც მოუგეს ბელგიურ „ბრიუგეს" თანაც მეტადრე უხვგოლიან შეხვედრაში.

პირველი მატჩი მეზობელ ქვეყანაში ფრანგთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა და ამიტომ საპასუხო შეხვედრაში დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ ერთმა კაცმა ყველაფერი შეცვალა. მას ალენი ჰქვია, გვარად კავეგლიაა და გუშინწინ მეტოქეს სამჯერ დააწყებინა მოედნის შუაგულიდან — ჰეთ-თრიქი შეასრულა.

— არავის ვადანაშაულებ, ჩვენზე ძლიერ გუნდთან წავაგეთ და ამაში სამარცხვინო არაფერია. მართალია, გეგმა გვქონდა, მაგრამ მის განსახორციელებლად ჩემს ფეხბურთელებს კლასი არ ეყოთ. თანაც დაცვაში უამრავი შეცდომა დავუშვით. ფაქტობრივად ერთმა თავდამსხმელმა მოგვიგო — აულელვებლად ლანძღავდა თავის შეგირდებს „ბრიუგეს" თავკაცი, 1982 წელს „სტანდარდის" შემადგენლობაში თბილისში „დინამოს" წინააღმდეგ თასების თასის ნახევარფინალში ნათამაშევი მცველი ერიკ გერეტსი.

ამ ორი ფრანგული კლუბის შემდეგ ეტაპზე გასვლის მერე ცხადი გახდა, რომ მათი რიცხვი სამამდე გაიზრდებოდა — „სტად ველოდრომზე" „მარსელი" „მონაკოს" მასპინძლობდა.

ზღვისპირეთში ჩატარებული მატჩი მონაკოში გამართულის ფრჩხილადაც არ ღირდა. იგი მხოლოდ დაძაბულობით თუ დაიკვეხნიდა, სხვა საინტერესო იქ არაფერი მომხდარა. რაც შეეხება ერთადერთ გოლს, იგი ტიტი კამარამ გაიტანა და საკმაოდ ოსტატურადაც — ჯერ მცველი ჩამოიცილა კარგად, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონი ბარტეზიც უშანსოდ დატოვა.

იტალიური ტრიოდან მეოთხედფინალში ყველაზე მეტად „რომას" გაუჭირდა. ამას დედაქალაქელთა ჩეხი თავკაცის, აპენინური დოპინგ-სკანდალის ფუძემდებლის ზდენეკ ზემანის სიტყვებიც ადასტურებს.

— „ციურიხი " ჩვენთვის უხერხული მეტოქე გამოდგა, გარდა ამისა, შვეიცარიაში საშინელ მინდორზე მოგვიწია თამაში. ბიჭები ყინულზე ფეხბურთის თამაშს მიჩვეულნი არ არიან. მიუხედავად ყველაფრისა, სასურველ შედეგს მივაღწიეთ და მეოთხედფინალშიც გავედით. მთავარი ეს არის.

მწვრთნელს რომაელთა გმირი, ორივე მატჩში ბოლო წუთებზე გოლის გამტანი ფრანჩესკო ტოტიც ეთანხმება.

— ისე მციოდა, რას ვაკეთებდი აღარც მახსოვს. ჩვენ კარგად დავიწყეთ შეხვედრა, კარგადვე დავასრულეთ და ყველას ვაჩვენეთ საკუთარი ძალა. იმასაც ვიტყვი, რომ „ციურიხისაგან" ასეთ წინააღმდეგობას ნაღდად არ ველოდი.

მასპინძელთაგან თავი სამხრეთაფრიკელმა შონ ბარტლეტმა გამოიჩინა — დუბლი შეასრულა, თუმცა მეტის გაკეთებაც შეეძლო — მეორე ტაიმის დასაწყისში, როდესაც მისი გუნდი 0:1-ს აგებდა, ბარტლეტის თერთმეტმეტრიანიდან დარტყმული ბურთი იტალიელთა მეკარე ანტონიო კიმენტიმ მოიგერია.

„რომას" მსგავსად, გლაზგოში ფრედ 1:1 დასრულებული მატჩის შემდეგ შინ მძიმე ბრძოლა ელოდა მრისხანე „პარმას". შეხვედრა პარმელთათვის მართლაც ძალიან ცუდად დაიწყო — 29-ე წუთზე სტუმრები გერმანელმა იორგ ალბერცმა დააწინაურა. თუმცა მეორე ტაიმში პარმელები გამოცოცხლდნენ და „რეინჯერსს" სამი უპასუხო გოლი გაუტანეს.

ანგარიში არგენტინელმა აბელ ბალბომ გაქვითა, ვინც მატჩის განახლებიდან ორ წუთში ბურთთან ერთად მარტოდმარტო აღმოჩნდა მეტოქის ცარიელ კართან. 63-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა სტეფანო ფიორემ უძლიერესი დარტყმით მასპინძლები წინ გაიყვანა და როგორც შემდგომში აღმოჩნდა, წელში გატეხა.

მესამედ სტადიონზე შეკრებილი 22 ათასი ტიფოზი ენრიკო კიეზამ გაახარა. საქმე ასე იყო — მისმა თანამემამულემ, „რეინჯერსის" მცველმა ლორენცო ამორუზომ საკუთარ საჯარიმოში ფრენბურთის თამაში გააჩაღა, „პარმას" პენალტი გაუხერხა, ხოლო თავად წითელ ბარათს გამოჰკრა ხელი. კიეზესაც რაღა დარჩენოდა, ადგა და ფინელ ანტი ნიემის მესამე გაუტანა.

აი, „ბოლონია" კი, შეიძლება ითქვას, სევილიაში ტურისტად, ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად ჩავიდა. ეს მასპინძლებმაც კარგად უწყოდნენ, სამბურთიან დეფიციტის აღმოსაფხვრელად თავი არ მოუკლავთ და ჩაიარა მატჩმაც წყნარ, ჰარმონიულ ატმოსფეროში.

არადა, შეხვედრის დებიუტი ცოტა არ იყოს დამაინტრიგებელი გამოდგა — მე-3 წუთზე იტალიელ მცველებს ოლი ალვერესმა დაასწრო და სტადიონზე შეკრებილ ქომაგებსაც იმედი გაუღვივა, მაგრამ..

— მეოთხედფინალში გასვლაზე ოცნებას ორი კვირის წინ ბოლონიაშივე დავემშვიდობეთ. დღეს ჩინებულად კი დავიწყეთ, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის — მეტოქე უფრო ძლიერი გამოდგა და შემდეგ ეტაპზეც დამსახურებულად გავიდა. ვულოცავ მას — ღირსეულად შეხვდა მარცხს სევილიელთა ბასკი თავკაცი ხავიერ კლემენტე.



ბეტისი — ბოლონია. სტუმარი მასიმილიანო კაპიოლი (მარჯვნივ) ბურთისთვის იბრძვის

„ბეტისი" ვეღარ, მაგრამ ორი ესპანური კლუბი უეფას თასისთვის ბრძოლას კვლავაც განაგრძობს.

ვიგოს „სელტას" თავისუფლად შეგვიძლია ახლავე მივანიჭოთ ორი ტიტული — სეზონის აღმოჩენა და ინგლისელთა რისხვა.

დიახ, პრემიერლიგის ლიდერ „ასტონ ვილას" გზას ესპანელებმა მეორე ინგლისური გუნდიც, სახელოვანი „ლივერპულიც" გაუყენეს, თანაც ისე, რომ შინაც მოუგეს და სტუმრადაც. ვიგოელთა მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესიც, ბუნებრივია, ამაყობდა.

— დღეს „სელტას" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ლამაზი ფურცელი ჩაიწერა. როდესაც გუნდი სტუმრად ამარცხებს მეტოქეს, სადაც მაიკლ ოუენი და რობი ფაულერი თამაშობენ, მასზე აუგის თქმა აბსურდია. მართალი გითხრათ, მატჩის მსვლელობისას ძალიან ვღელავდი, მაგრამ გოლი გავიტანეთ თუ არა, სრულებით დავწყნარდი და კენჭისყრაზე დავიწყე ფიქრი.

შეხვედრის ერთადერთი გოლი ისრაელის ნაკრების წევრმა ხაიმ რევივომ დენი მერფისთან და სტივ ჟერარდთან ბრძოლაში გაიტანა 57-ე წუთზე.

გამარჯვებულის შექება არც „ლივერპულის" ფრანგ დამრიგებელ ჟერარ ულიეს დავიწყებია:

— „სელტამ" ყველაფერში გვაჯობა. დღესდღეობით ეს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და, ვფიქრობ, უეფას თასის მოპოვებაში ხელს ვერავინ შეუშლის.

ბოლო, მერვე შეხვედრაზე, საუბრის დაწყება მეტად უსიამოვნო ფაქტით გვიწევს — მადრიდში „ვისენტე კალდერონის" სტადიონზე, „ატლეტიკო" — „სოსიედადის" მატჩის დაწყებამდე, ბარში მჯდომ სანსებასტიანელ გულშემატკივარს, 28 წლის აიტორ ზაბალეტას და მის მეგობარ გოგონას თავს მადრიდელი ქომაგები დაესხნენ და უამრავი ჭრილობა მიაყენეს. პოლიციელთა თქმით, გულში მიღებული მძიმე ჭრილობის შედეგად ზაბალეტა გუშინ დილით გარდაიცვალა, გოგონა კი საავადმყოფოში წევს. მართლაც შემზარავი ისტორიაა.

თავად მატჩი საინტერესო გამოდგა და მადრიდელთა უპირატესობით ჩაიარა. პირველი ორი გოლი ვლადიმირ იუგოვიჩმა გაიტანა — ჯერ ძალიან ლამაზი მაკრატელათი, მერე კი მსაჯის გამოგონილი პენალტიდან, რომელიც იუგოსლაველმა ნახევარმცველმა ისე ენერგიულად შესრულა, რომ ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქმნა.

მეორე ტაიმში „ატლეტიკოს" აქტიური იუგოვიჩის არყოფნა აშკარად შეეტყო. შედეგი — მოლინასთან პირისპირ დარჩენილმა ხავიერ გრასიამ საპასუხო ბურთი გაიტანა და ორი მატჩის ჯამში წონასწორობა აღადგინა. ძირითადი დრო ასეც დასრულდა.

დამატებით ოცდაათ წუთში იუგოვიჩის არყოფნა უკვე აღარავის გახსენებია, ვინაიდან მინდორზე სხვა მადრიდელი ბატონობდა — „ატლეტიკოს" მცველი სანტი. მან გოლიც გაიტანა და ნახევარი საათი ისე ენერგიულად ირჯებოდა, სიტყვაძუნწი არიგო საკის ქება-დიდებაც კი დაიმსახურა.

— დღეს სანტი საუკეთესო იყო. უპირველეს ყოვლისა უმნიშვნელოვანესი ბურთის გატანის გამო და მეორეც იმიტომ, რომ ნაღდი პროფესიონალია. წლეულს სანტი ტრავმებმა გააწამა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, გუნდისთვის ლიდერობა გაეწია, თანაც გაჭირვების ჟამს. ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვურჩევ მისგან აიღონ მაგალითი.

ასეთი იყო გუშინწინდელი საფეხბურთო დღე ევროპაში— ტრაგიკული და დაძაბული. უეფას თასისთვის ბრძოლას იტალიურ-ფრანგულ-ესპანური ლეგიონი შემორჩა.

გაისამდე.

**დავით კოვზირიძე**

### უეფას თასი. მერვედფინალი
საპასუხო მატჩები. 8 დეკემბერი

UEFA CUP

ციურიხი (შვეიცარია) — *რომა (იტალია)* 2:2 (0:1)
*მარსელი (საფრანგეთი)* — მონაკო (საფრანგეთი) 1:0 (2:2)
*ბორდო (საფრანგეთი)* — გრასჰოპერი (შვეიცარია) 0:0 (3:3)
*ატლეტიკო (ესპანეთი)* — სოსიედადი (ესპანეთი) 4:1 დ.დ. (1:2)
ბრიუგე (ბელგია) — *ლიონი (საფრანგეთი)* 3:4 (0:1)
*პარმა (იტალია)* — რეინჯერსი (შოტლანდია) 3:1 (1:1)
ლივერპული (ინგლისი) — *სელტა (ესპანეთი)* 0:1 (1:3)
ბეტისი (ესპანეთი) — *ბოლონია (იტალია)* 1:0 (1:4)

## გერმანია

### XVI ტურის გადადებული მატჩი

### გლადბახი 0:1 ვერდერი

0:1 ბოდე (23)

მიონხენგლადბახი: ენკე, სოპიჩი, კლინკერტი, პასლაკი (ჰაუსვაილერი 46), ჰაგნერი, ვინჰოფი (პფლიპსენი 46), ვიტეჩეკი, კეტელაერი, ასანინი, პეტერსონი, ფელდჰოფი (პოლსტერი 68)

ვერდერი: როსტი, ვიკი, ვოიტალა, ბენკენი, ვიდნერი, ტოდტი (ფლოკი 81), აილტსი, ჰერცოგი (მაქსიმოვი 62), ტრარესი, ფლო (ფრინგსი 72), ბოდე

გაფრთხილება: პფლიპსენი, პეტერსონი, ვიდნერი, აილტსი, ვიკი, ტოდტი

მსაჯი: ვაგნერი

„მიონხენგლადბახი" — „ვერდერის" ეს მატჩი წესით გასულ შაბათს, 5 დეკემბერს, უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო ქვეყნის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლებმა სამშაბათისთვის გადმოიტანეს. ასევე სამშაბათისთვის იყო დაგეგმილი „ჰერტა" — „ფრაიბურგის" შეხვედრაც, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ იგი 15 დეკემბერს შედგება.

გლადბახელებმა ეს სეზონი ძალიან ცუდად დაიწყეს. კლუბის პრეზიდენტმა ვილფრედ იაკობსმა მდგომარეობის გამოსასწორებლად ფრიდელ რაუშის ნაცვლად რაინერ ბონჰოფს უხმო, მაგრამ ვერც მან გაუმართლა. „მიონხენგლადბახი" ცხრილის ბოლო საფეხურზე დამკვიდრდა და გავარდნის უპირველესი კანდიდატია.

ჩემპიონატი „ვერდერმაც" ცუდად დაიწყო, რასაც კლუბის მთავარი მწვრთნელის — ვოლფგანგ სიდკას ფელიქს მაგათით შეცვლა მოჰყვა. გლადბახელთაგან განსხვავებით, ბრემენელებს ახალი დამრიგებლის ხელი აშკარად დაეტყოთ. ბოლო 5 ტურში „ვერდერმა" ოთხი გამარჯვება მოიპოვა და აუტსაიდერთა რიგებს თავი დააღწია.

მატჩი ძალიან უინტერესო გამოდგა. მთელი 90 წუთის განმავლობაში ორი-სამი სახიფათო მომენტი შეიქმნა. გატანა პირველად მასპინძლებს შეეძლოთ, მაგრამ კეტელაერის საშუალო მანძილიდან ძლიერად დარტყმული ბურთი კარს მცირედით ასცდა. ამას სტუმართა კონტრშეტევა და სტადიონზე შეკრებილი 22 ათასი ქომაგი დაამწუხრა და სეზონში მეხუთე ბურთი შეაგდო.

მეორე ტაიმში მასპინძელთა შემადგენლობაში ტონი პოლსტერი და კარლ ჰაინც პფლიპსენიც გამოჩნდნენ, უმცა „გლადბახს" ლიდერთა გამოსვლამაც ვერ უშველა. „ვერდერმა" მთელი ტაიმი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვაში გაატარა და ზედიზედ მესამე გამარჯვებაც მოიპოვა.

ამ მოგებით ერთ დროს ბოლოადგილოსანმა კლუბმა მეათეზე აინაცვლა და იაშვილისა და კობიაშვილის „ფრაიბურგი" ერთი საფეხურით ჩააქვეითა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 16 | 10 | 5 | 1 | 39:15 | 35 |
| ბაიერნი | 15 | 11 | 2 | 2 | 36:13 | 35 |
| მიუნხენ 1860 | 16 | 9 | 3 | 4 | 29:21 | 30 |
| ლაუტერნი | 15 | 9 | 3 | 3 | 25:23 | 30 |
| დორტმუნდი | 16 | 7 | 4 | 5 | 24:17 | 25 |
| ვოლფსბურგი | 16 | 6 | 6 | 4 | 30:23 | 24 |
| ჰერტა | 15 | 7 | 2 | 6 | 20:17 | 23 |
| ჰამბურგი | 16 | 5 | 6 | 5 | 21:19 | 21 |
| შტუტგარტი | 16 | 5 | 5 | 6 | 21:20 | 20 |
| ვერდერი | 16 | 5 | 4 | 7 | 23:22 | 19 |
| ფრაიბურგი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:21 | 18 |
| ბოხუმი | 16 | 5 | 3 | 8 | 21:29 | 18 |
| შალკე 04 | 16 | 4 | 5 | 7 | 17:27 | 17 |
| აინტრახტი | 16 | 4 | 4 | 8 | 20:27 | 16 |
| დუისბურგი | 15 | 3 | 6 | 6 | 15:24 | 15 |
| ნიურნბერგი | 16 | 2 | 9 | 5 | 20:30 | 15 |
| ჰანზა | 16 | 2 | 6 | 8 | 22:33 | 12 |
| გლადბახი | 15 | 2 | 3 | 10 | 19:40 | 9 |



REUTERS

მარსელ კეტელაერმა (მარცხნივ) ჰავარდ ფლო კი შეაჩერა, მაგრამ ბოდეს ვერაფერი მოუხერხა

## აგრძნობინეს და წავიდნენ

„ნიუკასლ იუნაიტედში" განხეთქილებაა — კლუბის დირექტორატში უსიამოვნება ჩამოვარდა და გუნდის სამი ხელმძღვანელი წავიდა. ჩრდილოინგლისური კლუბის თავმჯდომარე დენის კესიდი, რომელიც დირექტორთა საბჭომ თანამდებობაზე ხუთი თვის წინ აირჩია, საკუთარი ნება-სურვილით გადადგა. კლუბის ხელმძღვანელს ჯონ ჯოზეფმა და ტიმ ფენტონმაც მიბაძეს.

— შეუძლებელია მუშაობა. დირექტორთა საბჭოში გაუსაძლისი სიტუაციაა. ადრე როცა სამსახურში მივდიოდი, მიხაროდა, ახლა კი იქ მისვლა მეზარება. ყველამ თითქოს ჩვენს წინააღმდეგ შეკრა პირი — განაცხადა კესიდიმ თანამდებობიდან გადადგომისთანავე.

ეს ამბავი გუშინ, ოთხშაბათს, 9 დეკემბერს გავრცელდა. უსიამოვნებები „ნიუკასლ იუნაიტედის" ხელმძღვანელთა შორის კი ბოლო ორი თვე გრძელდებოდა.

კლუბის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს რამდენიმე დღეში საგანგებო სხდომაზე აირჩევენ, მანამდე კი „ნიუკასლ იუნაიტედს" ერთი მმართველი არ ეყოლება.

სანამ კესიდის შემცვლელი გამოვლინდება, ჯონ ჯოზეფის და ტიმ ფენტონის შემცვლელები გამოინახნენ — დუგლას ჰოლმა და რედ შეპარდმა დაკარგული თანამდებობები დაიბრუნეს — ივნისში ისინი ნიუკასლელი ქომაგებისა და ქალების შეურაცხყოფის გამო გაუშვეს დირექტორატიდან.

დუგლას ჰოლი „ნიუკასლ იუნაიტედის" მფლობელის სერ ჯონ ჰოლის ვაჟია.

რა იყო განხეთქილების მიზეზი?

ზუსტად ცნობილი არაა, მაგრამ ინგლისური საინფორმაციო საშუალებების გავრცელებულ ცნობებს გაგაცნობთ:

კესიდის და მისი ორი მეგობრის კლუბიდან წასვლის მიზეზი დირექტორთა საბჭოში განხეთქილება ყოფილა. კესიდი, შესაბამისად ჯოზეფი და ფენტონიც დირექტორთა საბჭოს წევრები იყვნენ. საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებდნენ, მაგრამ დუგლას ჰოლს თანამდებობის დაბრუნება ისე ეწადა, რომ ზემოხსენებული სამეულის და „ნიუკასლ იუნაიტედის" დირექტორატის სხვა წევრებს შორის (მაგალითად, კლუბის ფინანსურ დირექტორ ლეს უათლის და აღმასრულებელ დირექტორ რასელ ჯონსს შორის) შუღლი გააღვივა. საქმე საბოლოოდ განხეთქილებამდე მივიდა. ჯონსს და უაითლის მხარი სხვებმაც დაუჭირეს და ხმათა უმრავლესობით საგანგებო სხდომა ჩაატარეს. შეკრებილებმა აგრძნობინეს კესიდს და მის მეგობრებს, რომ უნდა წასულიყვნენ. ათვალწუნებულნი მიხვდნენ სიტუაციას და წავიდნენ.

დუგლას ჰოლი დირექტორთა საბჭოში მეორე დღეს აღადგინეს.

**ირაკლი ილაშვილი**

გერმანული ბუნდესლიგის გუნდმა, ფრანკფურტის „აინტრახტმა" განაცხადა, რომ ცუდი შედეგების გამო თანამდებობიდან განთავისუფლებულია მწვრთნელი, ჰორსტ ერმანტრაუტი. 42 წლის ერმანტრაუტმა ფრანკფურტის გუნდი 1996 წლის დეკემბერში ჩაიბარა და მეორე ბუნდესლიგიდან უძლიერესთა შორის დაბრუნებაში დაეხმარა. ახალი სეზონი 1980 წლის უეფას თასის მფლობელმა კარგად დაიწყო, მაგრამ თანდათანობით უკლო და დღეისათვის 18 გუნდიან შეჯიბრებაში მე-14 ადგილზეა. ბოლო ტურში „აინტრახტმა" შინ „შალკესთან" წააგო 1:2 და ეს მარცხი მისთვის ზედიზედ მესამე გამოდგა. ამრიგად, ბუნდესლიგაში უკვე მეექვსე მწვრთნელმა დაკარგა სამუშაო. უიღბლოთა ექვსეულიდან სამმა, „ნიურნბერგის" თავკაცმა ვილი რაიმანმა, „შტუტგარტის" მწვრთნელმა ვინფრედ შეფერმა და ერმანტრაუტმა ბოლო ათი დღის განმავლობაში იწვნიეს უმუშევრობის სიმწარე. ჯერჯერობით „აინტრახტის" მწვრთნელის მოვალეობას აქამდე ასისტენტის თანამდებობაზე მომუშავე ბერნარდ ლიპერტი შეასრულებს, გუნდის ახალ თავკაცს კი საშობაო არდადაგების დროს, 21 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე მოძებნიან.

**ჩილეში** ქვეყნის ჩემპიონის ბედი შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ტიტულის ორივე კანდიდატმა გაიმარჯვა და ბოლო ტურის წინ მათ შორის ისევ ერთქულიანი სხვაობაა. ლიდერმა, „კოლო კოლომ" სტუმრად 1:0 მოუგო „კონსეპსიონს", „უნივერსიდადმა" კი „უაჩიპატოს" 1:0 აჯობა. ბოლო ტური შაბათ-კვირას გაიმართება. „კოლო კოლოსა" და „კონსეპსიონის" შეხვედრაში ერთადერთი გოლი არგენტინელმა ნახევარმცველმა მარსელო ბარტისიოტომ გაიტანა. ახლა, პირველობის უკანასკნელ მატჩში, „კოლო კოლო" სუსტ მეტოქეს, „დეპორტეს იკიკეს" უმასპინძლებს. ჩილე სამხრეთ ამერიკის იმ იშვიათ ქვეყანათაგანია, რომელიც ევროპული ყაიდის ორწრიან ჩემპიონატს ატარებს.

**ბულგარეთის** დედაქალაქის, სოფიის მერმა სტეფან სოფიანსკიმ ეროვნული ფეხბურთის დახმარების სრვილი გამოთქვა. კერძოდ, ის ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს. ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციაში არჩევნები პარასკევს გაიმართება. ბუნებრივია თანამდებობის შესანარჩუნებლად უწინდელი პრეზიდენტი, ივან სლავკოვიც იბრძვის. „ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილება მაქვს, პირადი კონტაქტებითაც შემიძლია დავიკვეხნო და ამიტომ ვფიქრობ, რომ ეროვნულ ფეხბურთს გამოვადგები" — განაცხადა სოფიანსკიმ. აღსანიშნავია, რომ სოფიანსკი გასულ წელს, თებერვლიდან მარტამდე, შინაგან საქმეთა მინისტრი გახლდათ. დაგვეთანხმებით, რომ ის, რაც ბულგარეთში ხდება, ისევე როგორც სოფიანსკის სიტყვები პირად კონტაქტებსა და გამოცდილებაზე, ორი წვეთი წყალივით ჰგავს ყოფილი სოციალისტური სივრცის ნებისმიერ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, და ნათქვამს ბუნებრივია, ბულგარულ ფეხბურთში დაუსრულებლად ლაპარაკობენ კორუფციასა და ალებ-მიცემობაზე.

**შოტლანდიის** პრემიერლიგის კლუბმა „აბერდინმა" თანამდებობიდან გაანთავისუფლა მწვრთნელი, ალექს მილერი. მილერის განთავისუფლების შესახებ „აბერდინის" თავკაცებმა „პიტოდრის" სტადიონზე გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე განუცხადეს საზოგადოებრიობას. მიზეზი ტრადიციულია: ცუდი შედეგები. „აბერდინს" ჩემპიონატის ბოლო 16 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს მოპოვებული. მოთმინების ფიალა ბოლო ტურში „კილმარნოკთან" 0:4-ის წაგებამ აავსო. ამასთან დაკავშირებით კლუბის თავმჯდომარემ (ამ თანამდებობას ბრიტანეთს გარეთ პრეზიდენტი ჰქვია) სტიუარტ მილანმა აღიარა: „როდესაც ალექსი ჩვენს გუნდში მოვიდა, ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ იგი სწორედ ის კაცი იყო, „აბერდინს" რომ გა-

### ფეხბურთის რუკასთან



აძლიერებდა. სამწუხაროდ მოვლენები სხვანაირად განვითარდა და საბოლოოდ დავასკვენით, რომ მილერის წასვლა ყველასთვის სასიკეთო საქმე იქნებოდა". ამრიგად, 1993 წლიდან „აბერდინი" უკვე მეოთხე მწვრთნელმა დასტოვა, ხოლო რაც შეეხება მილერს, იგი ქვეყნის ნაკრებში კრეიგ ბრაუნის ასისტენტად გადადის. ისევ მილანი: „აშკარაა, რომ შემდეგი მწვრთნელის დანიშვნის დროს შეცდომა უნდა გამოვრიცხოთ, ბოლო წლებში გუნდის მიერ მიღწეული შედეგებით ნამდვილად ვერ ვიამაყებთ, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ „აბერდინი" შეძლებს მაღალი ადგილებისთვის ბრძოლას". აღსანიშნავია, რომ 80-იან წლებში ეს შოტლანდიური გუნდი სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

**ჰოლანდიური** „ალკმაარის" მწვრთნელმა ვილემ ვან ჰანეგემმა კლუბთან ხელშეკრულება განაახლა. ახალი კონტრაქტი ხუთწლიანია, გასაკვირი კი ის გახლავთ, რომ ვან ჰანეგემმა ერთი კვირის წინ განაცხადა კლუბი უნდა დავტოვოო. ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ქვეყნის ეროვნული გუნდის ყოფილი ფეხბურთელი განმარტავდა, რომ მას არ მოსწონს ხელფასი, რომელსაც ალკმაარის გუნდის მეპატრონენი სთავაზობენ. ამბობენ, რომ მწვრთნელის სასარგებლოდ მდგომარეობა გულშემატკივართა ლაყინებამ შეცვალა. ვან ჰანეგემი ალკმაარში გასულ წელს მივიდა. მანამდე მან სამწვრთნელო გამოცდილება „ფეიენოორდში", „ვაგენინგენსა" და საუდის არაბეთის გუნდ „ალ ჰილალში" მიიღო. ალკმაარელთა გუნდი ჰოლანდიის პირველ დივიზიონს სწორედ ვან ჰანეგემის ხელმძღვანელობით დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ვან ჰანეგემი 1970-იან წლებში „ფეიენოორდში" თამაშობდა. გარდა ამისა, იგი გახლდათ ჰოლანდიის იმ, დიდი ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, რომელშიც იოჰან კრუიფი, იოჰან ნეესკენსი, რუდი კროლი და სხვები ბრწყინავდნენ.

**ნიგერიის** ფეხბურთის ფედერაციის მდივანმა სანი ტორომ განაცხადა, რომ ამხანაგური შეხვედრა მისი ქვეყნისა და ეგვიპტის ნაკრებებს შორის გადაიდო. „ასე ჩვენმა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ტიის ლიბრეგტსმა გადაწყვიტა. მიზეზი ის გახლდათ, რომ ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაციამ შეხვედრის გადავადება გვთხოვა. თავდაპირველი მოლაპარაკების თანახმად 9 დეკემბერს კაიროში უნდა გვეთამაშა, თუმცა ეგვიპტელებმა ახალ თარიღად 16 დეკემბერი შემოგვთავაზეს".— ბრძანა მდივანმა. ტორომ დასძინა, რომ ნიგერიელთა და კატალონიელთა 22 დეკემბრისთვის დანიშნული შეხვედრა უთუოდ გაიმართება.

**ჰონკონგში** რვა ადამიანი, რომელთაგან ერთი პოლიციის სერჟანტია, სასამართლოს წინაშე წარსდგა. მათ წინაშე წაყენებულია საფეხბურთო მაქინაციებსა და თამაშების ჩაწყობაში მონაწილეობის ბრალდება. ეჭვია, რომ ეს ხალხი შეკრული იყო ერთ-ერთ საბუქმეიქერო, ცხადია არალეგალურ კანტორასთან, რომელიც ნიძლავებს, როგორც ჰონკონგის ჩემპიონატის, ასევე უცხო ქვეყნების პირველობათა მატჩებზე დებდა. ხსენებული სერჟანტი გახლავთ 43 წლის ცე პინგვანგი. მის წინააღმდეგ ერთ-ერთი ბრალდება ისიცაა, რომ იგი თავის ხელმძღვანელებს ქრთამავდა, რათა მათ საბუქმეიქერო იატაკქვეშეთში რეიდები არ მოეწყოთ. სასამართლო პროცესის ახლანდელი ეტაპი 29 დეკემბრამდე გასტანს, მერე კი საქმე უმაღლეს სასამართლოს გადაეცემა.

**ინგლისელი** ფეხბურთელი დევიდ ბეტი „ნიუკასლ იუნაიტედიდან" თავის ყოფილ კლუბ, „ლიდს იუნაიტედში" დაბრუნდა. გუნდები საბოლოოდ ასე შეთანხმდნენ: ლიდსელები ნიუკასლელებს ბეტის სანაცვლოდ 7,25 მილიონ დოლარს გადაუხდიან. კონტრაქტის თანახმად ბეტი ახალ გუნდში ოთხნახევარ წელიწადს გაატარებს. „ლიდს იუნაიტედის" თავმჯდომარემ განაცხადა: „ბეტი ერთი ჩვენთაგანია. მისი გული აქაურობას ეკუთვნის და ბუნებრივია, ჩვენც ბედნიერნი ვართ რომ იგი დაგვიბრუნდა". 29 წლის ბეტიც ფრიად კმაყოფილი გახლდათ: „მოხარული გახლავართ მოლაპარაკებები წარმატებით რომ დაგვირგვინდა. მადლობას ვუძღვნი „ნიუკასლის" მწვრთნელს რუუდ გულიტს, რომელმაც ჩემს მდგომარეობას სწორედ აუღო ალღო".

**გერმანულმა** დორტმუნდის „ბორუსიამ" თავის მეკარეს, შტეფან კლოსს ნება დართო მოლაპარაკებები აწარმოოს შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსთან". „ჩვენ ნება დავრთეთ კლოსს საშობაო არდადეგების დროს „რეინჯერსთან" გააფორმოს კონტრაქტი". — განაცხადა დორტმუნდელთა მენეჯერმა მიხაელ მაიერმა. აღსანიშნავია, რომ „დორტმუნდმა" კლოსს „რეინჯერსში" გადასვლის საქმე გასულ სეზონში, ერთხელ უკვე ჩაშალა. გლაზგოელები, მოგეხსენებათ, მეკარის ძიებაში არიან, რადგან მათი მთავარი გოლკიპერი, ფრანგი ლიონელ შარბონიე სერიოზულადაა დაშავებული და სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. ამიტომაც სცადა ერთი თვის წინ „რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ ფრანგული „მარსელის" გერმანელ მეკარესთან, ანდრეას კეპკესთან მოლაპარაკება, მაგრამ იმ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

**ბულგარეთის ჩემპიონატი.** მე-15 ტური. ცსკა — მინიორი 2:0, ბოტევი — ლიტექსი 0:1, პირინი — სლავია 2:1, ლოკომოტივი (სოფია) — სპარტაკი 3:1, შუმენი — დობრუჯა 0:0, ლევსკი (კუისტენდილი) — ლოკომოტივი (პლოვდივი) 5:1, მეტალურგი — სეპტემვრი 4:2, ნეფტოხიმიკი — ლევსკი (სოფია) 1:0. გათამაშებას 36 ქულით ლიდერობს „ლიტექსი". მას 5 ქულით ჩამორჩებიან „ლევსკი" (სოფია) და „ლევსკი" (კუისტენდილი).

**იუგოსლავიის** ჩემპიონატი. მე-17 ტური. მილისიონარი — ბუდუჩნოსტი 6:3, ობილიჩი — ჰაიდუკი 5:0, რადნიჩკი (ნიში) — პროლეტერი 1:2, პრიშტინა — რადი 1:2, ჟელეზნიკი — ზემუნი 3:1, სპარტაკი — ვოივოდინა 1:3, მოგრენი — სარტიდი 1:1, რადნიჩკი (კრაგუევაცი) — ცრვენა ზვეზდა 1:1. გათამაშებას 46 ქულით ლიდერობს „პარტიზანი". მას 3 ქულით ჩამორჩება „ობილიჩი".

**რუმინეთის** ჩრდილოეთით, ქალაქ სატუ მარეში პოლიციამ დააკავა პირველი დივიზიონის კლუბის, „ოლიმპიას" ყოფილი პრეზიდენტი ვასილე ბოუდი, რომელსაც ფულის გაფლანგვაში ედება ბრალი. „ვასილე ბოუდი გაფლანგვაშია ეჭვმიტანილი. იგი „ოლიმპიას" პრეზიდენტის სავარძელში 1997-98 წლებში იჯდა და ამ ხნის მანძილზე დაახლოებით ერთი მილიონი დოლარი გაფლანგა" — განაცხადა სატუ მარეს პოლიციის დეპარტამენტის პრეს ატაშემ. დღეისათვის „ოლიმპია" რუმინელთა 18 გუნდიან ჩემპიონატში მე-16 ადგილზეა და ეჭვი არავის ეპარება, რომ ლიგიდან გავარდება. ამასობაში კი ქვეყნის თასის გათამაშების მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრები გაიმართა: პეტროლული — სტიაუა 1:1 (1:5), რაპიდი — გლორია 2:1 (1:1), ოცელული — ბაკაუ 1:0 (0:2), დინამო — ტიმიშოარა 2:0 (1:1). ნახევარფინალები გაზაფხულზე შედგება.

**პარაგვაის** ნაკრების მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, რადგან მან მერკოსურის თასზე პარაგვაის „ოლიმპიას" წინააღმდეგ თამაშისას მეოთხე მსაჯი შეურაცხყო (იგი კლუბ „ველეს სარსფილდში" თამაშობს). ჩილავერტისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის.

**საბერძნეთის ჩემპიონატი.** მე-12 ტურის ბოლო მატჩი პანელეფსინიაკოსი — იონიკოსი 1:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დარჩი ჩვენთან!

ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი სიტყვის კაცი ყოფილა — კლუბის ხელმძღვანელებს შემოდგომის მიწურულს შეპირდა, ახალ კონტრაქტს გავაფორმებო და რამდენიმე დღის წინ დანაპირები შეასრულა. ინგლისის ჩემპიონის და თასის მფლობელი კლუბის მწვრთნელმა „არსენალთან“ ახალ, სამწლინახევრიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. არსენ ვენგერი „ჰაიბერიზე“ (კლუბის სტადიონია) 2002 წლამდე დარჩება.


არსენ ვენგერი

რაში გამოიხატება ვენგერის სიტყვის კაცობა? მის დარად ხომ ბევრი მოიქცეოდა? საქმე ისაა, რომ ვენგერს „არსენალთან“ კონტრაქტის გაფორმებამდე ევროპის რამდენიმე დიდი კლუბი ეპატიჟებოდა, იმაზე მეტ გასამრჯელოსაც სთავაზობდა, ვიდრე იგი ინგლისში იღებს, მაგრამ ფრანგმა მწვრთნელმა სიტყვა არ გატეხა.

უამრავი მოწვევის თაობაზე თვითონ არსენ ვენგერმა განაცხადა:

— საზღვარგარეთულმა კლუბებმა მათთან გადასვლა მთხოვეს, მაგრამ ვიუარე. არანაირი წინააღმდეგობა „არსენალის“ მხრიდან არ მქონია, არც ხელფასის გამო ვისურვე სხვაგან გადაბარგება, უბრალოდ, მე რომ ახლა გუნდი მიმეტოვებინა, საკუთარი თავის წინაშე მართალი არ ვიქნებოდი. ჩემგან ეს, არც მეტი არც ნაკლები, ღალატი იქნებოდა. მე „არსენალის“ ხელმძღვანელებს შევპირდი, რომ მათთან დავრჩებოდი.

ვენგერი „არსენალის“ ერთგული დარჩა. სამუდამოდ თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ 2002 წლამდე — დანამდვილებით.

როცა არსენ ვენგერი „არსენალში“ მივიდა, „მეთოფეები“ სულაც არ წარმოადგენდნენ დიდ ძალას. კლუბი კარგად თამაშობდა, მაგრამ იმდენად კარგად ვერა, პრემიერლიგაში პირველობისთვის ებრძოლა. ახალი მწვრთნელის ხელი გუნდს უცბად არ დასტყობია, თუმც გაზაფხულისთვის (არსენ ვენგერი „არსენალს“ 1996 წლის სექტემბერში ჩაუდგა სათავეში) ლონდონელთა პროგრესი აშკარა იყო.

1998 წელს წარმატებაც მოვიდა. უფრო სწორად, მუხლჩაუხრელი შრომის წყალობით თავად „არსენალი“ ეახლა გამარჯვებას. კლუბი ინგლისის ჩემპიონი გახდა (ჩემპიონატის დასრულებამდე), მოიგო მსოფლიო ფეხბურთის უძველესი ჯილდო — ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი, ანუ შეასრულა დუბლი! და ეს ყველაფერი მას შემდეგ, რაც კლუბში არსენ ვენგერი მივიდა.

მწვრთნელის კარიერა ტიტულებით დახუნძლული ნამდვილად არაა — ინგლისური გამარჯვებები, ალბათ, ყველაზე შთამბეჭდავია მათ შორის, რისთვისაც ვენგერს მიუღწევია. ისე კი, თავის დროზე საკმაოდ კარგი „მონაკო“ შექმნა, მერე ამომავალი მზის ქვეყანას, იაპონიას მიაშურა იქაური ჯეი-ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი „ნაგოია გრამპუს ეითის“ დამრიგებლად. თუმცა უმალ მიხვდა, რომ იმ ქვეყანაში თავის სამწვთრნელო კარიერას წერტილს უსვამდა და ისევ ბებერ კონტინენტს დაუბრუნდა.

მერე მოხდა ის, რაც ზემოთ ვთქვით.

...ახლა „არსენალი“ ნამდვილად არაა კარგი კლუბი, ამის მიზეზი კი ათასგვარია. მიუხედავად ლონდონელთათვის წარუმატებელი პერიოდისა, ვენგერს ენდნენ. დასტურად კონტრაქტიც გააფორმეს.

**ირაკლი ილაშვილი**

# მე რომ ვლოთობ

არგენტინელი ფეხბურთელის, არიელ ორტეგას ლოთიანი თავგადასავალი გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ. დღეს ახალი დეტალები გახდა ცნობილი.

პირველი დეტალი ის გახლავთ, რომ მანქანაში, რომელსაც შფოთიან ღამეს, გენუის ქუჩებში მთვრალი ორტეგა მართავდა, მხოლოდ ის და მისი თანამემამულე და თანაგუნდელი გასტონ კორდობა კი არა, კიდევ ერთი სამპდორიელი, ბრაზილიელი კატეც მჯდარა. მეორე ისაა, რომ მანქანა „მერსედესი“ ყოფილა. მესამე — ორტეგასთვის მართვის მოწმობა ჩამოურთმევიათ. მეოთხე — პოლიციელები კორდობას ულანძღია და ბრალდებადაც სწორედ ეს აქვს წაყენებული. მეხუთე — ბრაზილიელს ჭკუა ყოფნია, ხმა არ ამოუღია და შესაბამისად კანონიც არ დაურღვევია. იჯდა მანქანაში თავისთვის, ცხადია მთვრალი.


არიელ ორტეგა

„სამპდორიაში“ ბუნებრივია იმსჯელეს სამი ფეხბურთელის თავგადასავლის შესახებ და მათი დასჯა გადაწყვიტეს.

„ორტეგა, კორდობა და კატე უახლოეს შეხვედრაში, რომელიც რომში, „ლაციოს“ წინააღმდეგ გველის, არ ითამაშებენ. ტრიოს აუცილებლად ფინანსურადაც დავსჯით“ — განაცხადა „სამპდორიას“ სპორტულმა დირექტორმა დომენიკო არნუცომ.

მოგეხსენებათ ორტეგა და მისი მეგობრები კვირა ღამეს გენუის ცენტრში, თან პოლიციის ოფისთან ახლოს, მთვრალები დაატარებდნენ მანქანას.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია „CROCO“

### გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| ჰამბურგი — ჰერტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| დორტმუნდი — მიონხენგლადბახი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| **12 დეკემბერი** | | | |
| ვერდერი — შტუტგარტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვოლფსბურგი — დუისბურგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| შალკე — მიუნხენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ფრაიბურგი — ნიურნბერგი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| კაიზერსლაუტერნი — აინტრახტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ჰანზა — ბოხუმი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ბაიერნი — ლევერკუზენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11-14 დეკემბერი** | | | |
| არმინია — უნტერჰახინგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ბერლინი — ზანქტ პაული | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| კიკერსი — კოტბუსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ფიურტი — მაინცი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ვატენშაიდი — ულმი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ულინგენი — ობერჰაუზენი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| კარლსრუე — ჰანოვერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| კიოლნი — გიუტერსლო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| დიუსელდორფი — ფორტუნა | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12 დეკემბერი** | | | |
| ბლეკბერნი — ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| დერბი — ჩელსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ევერტონი — საუთჰემპტონი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ლესტერი — ნოტინგემი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| მიდლსბრო — ვესტ ჰემი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შეფილდი — ჩარლტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ტოტენჰემი — მანჩესტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ასტონ ვილა — არსენალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| უიმბლდონი — ლივერპული | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| **14 დეკემბერი** | | | |
| ლიდსი — ქოვენთრი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11-13 დეკემბერი** | | | |
| ბრისტოლი — კრისტალ პალასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბერი — შეფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ჰადერსფილდი — ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| იფსვიჩი — ბარნსლი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ოქსფორდი — ბირმინგემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| პორტსმუთი — გრიმსბი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ქუინზ პარკი — ქრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| სანდერლენდი — პორტ ვეილი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| სვინდონი — ბრედფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ტრანმერი — ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| უოტფორდი — სტოკპორტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ვულვერჰემპტონი — ნორვიჩი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### საფრანგეთი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11-13 დეკემბერი** | | | |
| ბასტია — პსჟ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბორდო — ლე ავრი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ლორიანი — ლანსი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ნანსი — ოსერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მარსელი — მეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| სტრასბური — ნანტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სოშო — მონაკო | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ტულუზი — ლიონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| რენი — მონპელიე | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### იტალია. სერია A. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **13 დეკემბერი** | | | |
| ბარი — ემპოლი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბოლონია — სალერნიტანა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ფიორენტინა — იუვენტუსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლაციო — სამპდორია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მილანი — ვიჩენცა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| პარმა — რომა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| პერუჯა — კალიარი | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| უდინეზე — ინტერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვენეცია — პიაჩენცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### იტალია. სერია B. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12 დეკემბერი** | | | |
| კოზენცა — ლეჩე | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ატალანტა — რეჯინა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ჩეზენა — ფ. ანდრია | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| კომო — ლუკეზე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ჯენოა — რეჯანა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| მონცა — კრემონეზე | 1,6 | 2,8 | 6,0 |
| ნაპოლი — რავენა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| პესკარა — ტრევიზო | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| ტერნანა — ბრეშა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ტორინო — ვერონა | 2,3 | 2,7 | 3,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12-13 დეკემბერი** | | | |
| ვალიადოლიდი — ალავესი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბარსელონა — ვილიარეალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბილბაო — დეპორტივო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბეტისი — ატლეტიკო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| სარაგოსა — მალიორკა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რასინგი — ტენერიფე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ესტრემადურა — ოვიედო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| რეალი — სოსიედადი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| სელტა — ესპანიოლი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვალენსია — სალამანკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12-13 დეკემბერი** | | | |
| ბარსელონა B — მალაგა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ალბასეტე — ერკულესი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ტოლედო — ოსასუნა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ეიბარი — ბადახოსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| სპორტინგი — ლეგანესი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლას პალმასი — მერიდა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| მალიორკა B — რეკრეატივო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ატლეტიკო B — ორენსე | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,2 |
| რაიო ვალეკანო — სევილია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლოგრონიესი — კომპოსტელა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლეიდა — ნუმანსია | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### პორტუგალია. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11-13 დეკემბერი** | | | |
| შავეში — ბენფიკა | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| აკადემიკა — პორტუ | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| სპორტინგი — ბრაგა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ამადორა — სალგეიროში | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| რიუ ავე — ლეირია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ბეირა მარი — ბოავიშტა | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ფარენსე — ალვერკა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| მარიტიმუ — გიმარაეში | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კამპომაიორენსე — სეტუბალი | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### ჰოლანდია. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| მაასტრიხტი — სიტარდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **12 დეკემბერი** | | | |
| ტილბურგი — ნაიმეგენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ეინდჰოვენი — როდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| აიაქსი — ჰერენვენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ალკმარი — უტრეხტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| გრააფსხაპი — ბრედა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სპარტა — ტვენტე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ვიტესი — ფეიენოორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ბელგია. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11-13 დეკემბერი** | | | |
| სტანდარდი — ოსტენდე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ვესტერლო — ეკერენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მუსკრონი — სენტ ტრუიდენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბევერენი — ლომელი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შარლერუა — ანდერლეხტი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| გენკი — ლოკერენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| გენტი — ლიერსი | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| კორტრაიკი — ჰარელბეკი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ბრიუგე — აალსტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### თურქეთი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| გენჩლერბირლიგი — ქოჯაელი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| **12 დეკემბერი** | | | |
| საქარია — ბეშიქთაში | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| გალათასარაი — ანთალია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ადანა — ბურსა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სამსუნი — ალთაი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დარდანელი — ერზურუმი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ქარაბუქი — გაზიანთეფი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ფენერბაჩე — ისთანბული | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ტრაბზონი — ანკარაგიუჯიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### შოტლანდია. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **12 დეკემბერი** | | | |
| აბერდინი — ჰარტსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| დანდი იუნაიტედი — სელტიკი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| დანფერმლაინი — მოზერველი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რეინჯერსი — კილმარნოკი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| სენტ ჯონსტონი — დანდი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### შვეიცარია. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **11-13 დეკემბერი** | | | |
| ლუცერნი — გრასჰოპერი | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| სენტ გალენი — ლოზანა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ქსამაქსი — იანგ ბოისი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ბაზელი — ლუგანო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სერვეტი— სიონი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ციურიხი — არაუ | 1,2 | 6,0 | 7,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| **11 დეკემბერი** | | | |
| ბუფალო — რეინჯერსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ტამპა ბეი — კალგარი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| დეტროიტი — ედმონტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ჩიკაგო — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ანაჰაიმი — ვაშინგტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| **12 დეკემბერი** | | | |
| ბოსტონი — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ტორონტო — ფილადელფია | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ოტავა — ფინიქსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ნიუ ჯერსი — კოლორადო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| აილენდერსი — ტამპა ბეი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| კაროლინა — დეტროიტი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ფლორიდა — კალგარი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| სენტ ლუისი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| სან ხოსე — ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| **13 დეკემბერი** | | | |
| ფილადელფია — ედმონტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ჩიკაგო — დალასი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| **14 დეკემბერი** | | | |
| მონრეალი — ფინიქსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| რეინჯერსი — კალგარი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კოლორადო — სენტ ლუისი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში

# ვიტალი დარასელია



15




ვიტალი დარასელია

# თანამედროვე

**ზამთარში** ადრე ღამდება ხოლმე და მაშინაც ადრე დაღამდა. ცუდი დრო იყო, ცუდი ამინდი, ცუდი საათი. სეზონი დამთავრებული იყო.

გზა არ ვარგოდა და როდის ვარგა გზა საქართველოში?

ასიათასობით ადამიანი გადის და გამოდის ამ გზაზე ყოველწლიურად. მდინარეც იქვეა — რაც ქვეყანა არსებობს, მდინარე და გზა გვერდიგვერდაა. ნაცნობი, მარადიული სურათი. რამდენჯერაც გაივლი ამ ჩვეულებრივ გადაცვეთილ ადგილას, ყოველთვის გაგახსენდება. არ იქნება არ გაგახსენდეს, რადგან შენთვის ფეხბურთი სულაც არ არის ბატიბუტის მისაყოლებელი ტელერეპორტაჟი. გაგახსენდება, რომ ეს სიკვდილის ადგილია. კეთილი და მოხდენილი დასავლური პეიზაჟი ტრაგიკული დასასრულით. შენ გახსოვს: ზამთრის ღამეში, ამ გზაზე ამ მდინარესთან დაიღუპა ფეხბურთელი ვიტალი დარასელია.

აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ სანამ ქართული ფეხბურთი არსებობს, ვიტალი დარასელიაც იარსებებს. არც იმაზე, რომ სწორედ დარასელია იყო შემოქმედი ქართული ფეხბურთის უდიადესი წამისა.

ფეხბურთი ცალკე საკითხია. დიდი და ლამაზი, მძიმე და მოულოდნელი თავგადასავალი. ჩვენ კი ტრაგედიაზე ვლაპარაკობდით.

ფეხბურთელი და მანქანა, ფეხბურთელი და ავტოკატასტროფა. მილიონების სიხარულის მოულოდნელი დასასრული. ელდა და ცნობილი გამონათქვამი: „ფეხბურთელები ჩვეულებრივი მოკვდავნი არიან“.

მართლაც ასეა, მაგრამ ფეხბურთელის სიკვდილი არ არის მხოლოდ მისი სიკვდილი. გულშემატკივრისთვის ეს ამბავი არის უცნაური სიცარიელე გულსა და ფიქრში. ეს სიცარიელე ხილულიც კია ხოლმე. განსაკუთრებით მაშინ, როცა ქომაგი ტრიბუნაზე დაიჭერს ადგილს და მოედანზე გამოსულ საყვარელ გუნდს უყურებს. ამ დროს ქომაგი თვალით ეძებს ნაცნობ ფიგურებს მოედანზე, შეჩვეულ პოზიციებს და ველარ ხედავს მას, ძველ და საყვარელ მოთამაშეს. არის ვიღაც სხვა, ალბათ, პერსპექტიული, ნიჭიერი შემცვლელი. მაგრამ ის აღარ არის.

მაშინ სეზონი არ იყო, ამიტომ სიცარიელე თანდათან, ახალი წლიდან გახდა შესამჩნევი და წლებს გადასწვდა.

ეს არ ყოფილა რიგითი ავტოკატასტროფა, თუნდაც ტრაგიკული, მაგრამ მაინც რიგითად წოდებული ჩვენს ცივსა და უხეშ დროში, როცა ავტოკატასტროფებს, ადამიანთა დაკარგულ სიცოცხლეებს საგაგებო სამმართველოებში ითვლიან და რაღაც საშუალო ციფრი გამოჰყავთ. ვთქვათ, თვეში 7,8 ადამიანის სიცოცხლეო.

ამდენი წელიწადი გავიდა და თითქოს აღარც არის საჭირო ბევრი ლაპარაკი ამ ფატალურ შემთხვევაზე. იმ ღამეს ვარსკვლავი დაიღუპა. ვარსკვლავი და კეთილი ადამიანი, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უყვარდა, უხაროდა და რომელიც სითბოთი ცხოვრობდა. ამ სითბოს, ერთგულებას და ერთგვარ ალალ უბრალოებას თავად გასცემდა და სამაგიეროს არ ელოდა. ის ცხოვრობდა, როგორც დიდ ქალაქში, დიდ სამყაროში მოხვედრილი პატარა, ერთი ციდა ქალაქში დაბადებული ბიჭი, რომელიც არ გაითქვიფა ამ უზარმაზარ სამყაროში, არ გახდა ჩვეულებრივი ვარსკვლავი. არ გაიფხორა, არ გაგიჟდა და პირიქით თავისი ფეხბურთი მოიტანა.

ის კარგად იცნობდა ამ გზას, ხშირად მიმოდიოდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. მაშინაც ამ გზაზე გამოიარა, როცა პირველად მოვიდა თბილისის „დინამოში“. ის იმ საუცხოო საფეხბურთო მხარიდან იყო, ძველი, ჯადოსანი ვარსკვლავები ავთანდილ ღოღობერიძე, გიორგი სიჭინავა და ვლადიმერ ბარქაია რომ აჩუქა ქართულ ფეხბურთს.

ჩვიდმეტი წლისა მოვიდა „დინამოში“, ჩვიდმეტი წლისა გამოვიდა პირველად მინდორზე „დინამოს“ სამოსით. ეს იყო 1975 წლის 11 მაისს, „პახტაკორის“ წინააღმდეგ.

ამ უბრალო ცნობის მიღმა სახელი იდგა. ეს ძალიან მალე გაირკვა. ვიტალი დარასელია სიყმაწვილიდანვე ნამდვილი ფეხბურთელი იყო. დღეს ასეთებს ვარსკვლავებს უწოდებენ.

განაპირა ნახევარმცველი — ვარსკვლავი. გულშემატკივრებს კარგად ეხსომებათ მისი სპორტული იერი — დაკუნთული ფეხები, ჩამოსხმული ტანი და მხარბეჭი. ეს იყო ახალი ყაიდის, ახალი დროის ფეხბურთელის გარეგნობა. მომდევნო სეზონში, როცა „დინამოს“ უკვე ნოდარ ახალკაცი ედგა სათავეში, თვრამეტი წლის დარასელია უკვე ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე გახლდათ. იმ დროის ჩვენი და რუსული პრესა რომ გადაათვალიეროთ, ამოიკითხავთ მის თავდაჭერილ ქებას. თავდაჭერილი ქება იმ დროის ერთგვარი სტილი იყო. მაგალითად, რომელიმე ცნობილი მიმომხილველი რომ დაწერდა, „ახალგაზრდა ფეხბურთელს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უპყრია გუნდში“, ეს ბევრს ნიშნავდა. დარასელიას ასე აქებდნენ.

ის დაუვიწყარ სეზონში მომავალში განთქმული თბილისის „დინამო“ იქნებოდა. გუნდმა პირველად მოიგო ქვეყნის თასი, მაგრამ დარასელიას არც ნახევარფინალში უთამაშია და არც ფინალში. დიდ აღმასვლასთან ერთად, გუნდს ტრავმებიც სდევდა თან. მაგრამ ახალკაცი თავის „დინამოს“ ქმნიდა და ყმაწვილ ნახევარმცველს ამ გუნდში თავისი ადგილი ექნებოდა. ამ ადგილის მნიშვნელობა დიდი იყო. „დინამოს“ რამდენიმე სხვა ახალგაზრდასთან ერთად, რომელთა შორისაც რამაზ შენგელია და თამაზ კოსტავა უნდა გამოვარჩიოთ, დარასელია იმ ახალი ტალღის აღმოჩენად ჩაითვლება, რომელმაც, ფაქტიურად, სიყმაწვილეში მოასწრო დიდ გამარჯვებებში წილის დადება.

დარასელია ადრე გახდა „სპორტის ოსტატი“. საბჭოთა სპორტულ იერარქიაში, თან ფეხბურთელისათვის, რომელიც ჯერ ოცისაც არ არის, ეს არ იყო უბრალო წოდება. ფეხბურთელთათვის ყოველთვის ყველაზე ძნელი იყო ამგვარი ჩინების მოპოვება.თუ „საერთაშორისო კლასის“ ოსტატობას მხოლოდ ყიფიანი და გუცაევი ფლობდნენ ახალ „დინამოში“, დამსახურებული ოსტატი აღარავინ იყო. „დამსახურებულ ოსტატობას“ ან გრძელვადიანი სანაკრებო კარიერისთვის იძლეოდნენ (რეზო ძოძუაშვილი ორმოცდამეათედ არ დაიბარეს ნაკრებში და „საერთაშორისო კლასის ოსტატად“ დატოვეს) ან პრესტიჟული საერთაშორისო შეჯიბრების მოგებისთვის.

მაგრამ ვიტალი დარასელიამ მალევე დაკარგა „სპორტის ოსტატობა“. საბჭოეთის ახალგაზრდულ ნაკრებში მოხდა რაღაც ინციდენტი. მას და კიდევ ორ რუს ახალგაზრდას „ოსტატობა“ ჩამოერთვათ. მაშინ დიდად არ გახმაურებულა ეს ამბავი. ამბობდნენ, რუსები დათვრნენ, ვიტალიმ კი იჩხუბაო. საერთოდ, არ იყო მოჩხუბარი და ავი, ეს ამბავიც აღარავის გახსენებია. წოდება მალევე დაიბრუნა და მეტიც, ბოლოს, სხვებთან ერთად „დამსახურებულიც“ გახდა. თუმცა, ეს სულაც არ არის მთავარი.

მაყურებელმა შეიყვარა. ვიტალა — ასე ეძახდნენ.

რა გამოარჩევდა? მე თუ მკითხავთ, პირველი, რაც თვალში გეცემოდათ, ნამდვილი ფეხბურთელის იერი იყო. უფრო სწორად ახალი ყაიდის ფეხბურთელის იერი. ის ევროპული ყაიდის მოთამაშე იყო. ევროპელი ფეხბურთელი. ასეთები ყოველთვის იყვნენ საბჭოთა კავშირში, ოღონდ ცოტანი. ვიტალიც ასეთი იყო — იმ დროის ფეხბურთის სუნთქვა, მოთხოვნები, მისწრაფებები მის თამაშში საოცარი სიცხადით შეიგრძნობოდა.

დარასელია მარცხენა ნახევარმცველად თამაშობდა. ცაცია იყო, მაგრამ არა „ცალფეხა“. დაღლილი, დამდგარი და ხელჩაქნეული არასოდეს უნახავთ მოედანზე. ტექნიკური ილეთები სისხლში ჰქონდა გამჯდარი. დრიბლინგი და ცრუ მოძრაობები ლამაზი, სამხრეთული. დარტყმა ზუსტი ჭკვიანური და მოკლედ, ისეთი, მოცემულ წამს რომ იყო საჭირო. არგენტინელ ვარსკვლავებს მოაგონებდა კაცს. ყოველთვის იგრძნობოდა, რომ მისი სათამაშო ნიჭი ბიჭობიდანვე სწორად წარიმართა.

ის ძალიან ბუნებრივი ფეხბურთელი იყო. რა თქმა უნდა, ბევრი რამ ესწავლა და ყოველწამიერადაც სწავლობდა, მაგრამ ძირითადი მის თამაშში სწორედ ეს ბუნებრივობა იყო. ნასწავლი და ბუნებრივი. არიან ფეხბურთელები, რომლებიც ვარსკვლავებად იწოდებიან და ხელოვნურ, დაუხვეწავლ ილეთებს კი მოუძებნი. დარასელია ასეთი არ იყო. იმავე თბილისის „დინამოში“ იყვნენ წამყვანი მოთამაშენი, რომელთაც ძალიან კარგი საფეხბურთო თვისებები ჰქონდათ. მათ ალბათ უვითარებდნენ ამ თვისებებს, რადგან წინსვლა აშკარა იყო. მაგრამ ამავე ფეხბურთელებს ჰქონდათ თვალშისაცემი ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრასაც არაფერი ეშველა.

დარასელია ასე არ იყო. ის ყველაზე ახლოს იდგა ჰარმონიასთან.

ამასწინათ, ერთ უტოპიურ საუბარს შევესწარი. ძველი გულშემატკივრები ახალკაცის „დინამოს“ ფეხბურთელთა შესახებ ლაპარაკობდნენ. საუბარი კი იმიტომ იყო უტოპიური, რომ მრავლისმნახველი ძიაკაცები არჩევდნენ, რომელ დინამოელ ვარსკვლავს, რომელ ევროპულ კლუბში შეეძლებოდა თამაში. ზოგი სად გაამწესეს, ზოგი — სად. მთელი გუნდი „გაიყიდა“. მე კი დამამახსოვრდა დარასელიას შესაძლო კარიერის გამო ნათქვამი ფრაზა:

— ის ყველგან ითამაშებდა.

ვფიქრობ, რომ ეს ძალიან სწორი ნათქვამია. საზღვარებშეკრულ საბჭოთა კავშირში, დარასელია იმ მცირერიცხოვანი რაზმეულის წევრი იყო, რომლისთვისაც სხვა დროს და სხვა ვითარებაში საზღვრები არც კი იარსებებდა.

გოლები. იმ ერთმა გოლმა, ქართული ფეხბურთის ისტორიის უმნიშვნელოვანესმა გოლმა, ცამეტ მაისს რომ გაიტანა ვიტალი დარასელიამ, მგონი ყველაფერი გაახუნა. მან თავად შექმნა ეს გოლი. სხვა დროს და სხვაგვარ ვითარებაში ეგებ დაგვეთვალა [illegible] თბილისის „დინამოს“ რომ [illegible] სამი წუთის განმავლობაში [illegible] სო სტატისტიკა [illegible]. მაგრამ საქართველო ჯერ არ არის ის ქვეყანა, სადაც წარსული ამგვარადაა გაცოცხლებული. აქ ვერცერთ მაღაზიაში ვერ იყიდი კასეტას, რომელსაც ეწერება „დავით ყიფიანის რჩეული ეპიზოდები“. ანდა „რამაზ შენგელიას ყველა გოლი“. ასევე არსადაა კასეტა, რომელსაც „ვიტალი დარასელია“ ეწერება. ამიტომ ფეხბურთის მოყვარე კაცი საკუთარი მხოლოდ საკუთარი მეხსიერებით უნდა გავიდეს ფონს.

შემსრულებელი იყო. არა მხოლოდ გაჰქონდა, არამედ ასრულებდა ამ თავის გოლებს. მხოლოდ დარტყმის ძალის იმედად არასოდეს ყოფილა. მახსოვს, ცაციათი რა მოხდენილად აჭრიდა ხოლმე ბურთს. ჩანს, უყვარდა ამგვარი დარტყმა, როგორღაც ირიბად გაჰკრავდა ხოლმე ბურთს ფეხს. ეს გოლები ისე იყო შესრულებული, რომ მათში ნაკლებად იგრძნობოდა სხვა მოთამაშეზე დამოკიდებულება. კარიერის მთავარი გოლიც ასეთი იყო. თავისი არსით დიუსელდორფულიც და სხვა მის მიერ გატანილი ბურთებიც, ნახევარმცველის გოლები იყო. ეს გასაკვირიც არაა. იყო ასეთი სათაური იმდროინდელ გაზეთში — „ფეხბურთელი, რომელსაც გადამწყვეტი გოლები გააქვს“.

მას ბევრი რამის გადაწყვეტა შეეძლო. განსაკუთრებით, მომავალში, რომელსაც ვერ მოესწრო.

ვიტალი დარასელია განგებისკენ მიდრეკილი ვარსკვლავი გახლდათ. ასეთი რამ ხშირია ფეხბურთელთა შორის. სათამაშოდ გამოსული ახალგაზრდა კაცი ყოველთვის თავისებურად აშენებს იმედის კოშკებს. აქ აღარ გავაგრძელებ მის მიერ აკვიატებულ რიცხვ „ცამეტზე“, რომელიც იღბლიანად უჩანდა და სიცოცხლის ბოლო წამამდე არ გაურბოდა. მას სჯეროდა განგებისა — თავისებურად, უცნაურად, როგორც ალალ საქმეში, თუ ბრძოლაში ჩართულ ადამიანს. ეს საქმე მისი ცხოვრების საქმე იყო. და რახან სულით ნაღდი, ულალატო და მუხლჩაუხრელი იყო, იმედიც მტკიცე სჭირდებოდა.

იმ საღამოს, როცა თბილისში მისი ერთადერთი ვაჟი იბადებოდა, ვიტალი დარასელია ნეაპოლის „სტადიო კომუნალეზე“ იდგა. თამაშის წინ ეთქვა, ბიჭს, რომელიც დღეს დაიბადება, იმის სახელს დავარქმევ, ვინც „ნაპოლის“ გოლს გაუტანსო. „დინამოს“ 2:0 ჰქონდა მოგებული თბილისში. სტუმრად კი შეხვედრა ფრედ 1:1-ზე დაასრულა. „სტადიო კომუნალეზე“ ანგარიში ვიტალი დარასელიამ გახსნა. განგება, იმედი, ოცნება — ყველაფერი ერთად.

მას ყველაფერი ჰქონდა, რაც იმ დროის საბჭოთა ვარსკვლავს შეიძლებოდა ჰქონოდა. სახელი, პატივი, სიყვარული, ლამის მუდმივად მორგებული სანაკრებო მაისური. იმ წლებში, რომ წარმოიდგენდი თბილისის „დინამოს“ ხვალინდელ დღეს, ანუ იმ დროს, როცა მისი ვარსკვლავები თამაშს გამოეთხოვებოდნენ, იმ ახალ, ჯერაც უცნობ გუნდში, აუცილებლად ნახავდი ვიტალი დარასელიას. გუნდის დაშლა და გაუბედურება გაცილებით ადრე დაიწყო და იქაც აუცილებლად ხედავდი მას. ის აღარ იყო და ფიქრობდი, გინდოდა რომ გამოჩენილიყო.

თბილისის „დინამოს“ უფერული, უმადრუკი თამაშები. უხერხემლობა. ის აღარ იყო, აღარ იყო ხერხემალი. თითქოს სწორედ მაშინ გამოეთხოვა წუთისოფელს, როცა ინგრეოდა სახელმოხვეჭილი გუნდი. სწორედ მაშინ ველარ გამოვიდა მინდორზე, როცა ძნელბედობისა და არეულობის გამო სულ სხვაგვარად დაინახავდი. მას შეეძლო ლიდერი ყოფილიყო. დგებოდა ამის დრო. არცთუ სახარბიელო ტვირთი არეული გუნდისა სწორედ მას, გამძლე და გამრჯე ოცდახუთი წლის ბიჭს უნდა ეტვირთა. სეზონის ბოლოს, ერთ მღვრიე საღამოს, კაპიტნობაც კი გასწია. ესეც ერთგვარი ნიშანი იყო. მისი განწყობის კაცისთვის ნიშანი უნდა ყოფილიყო. ხვალის დინამოს გამწევი, 80-იანი წლების მეორე ნახევრის გუნდის გამოცდილება და ქინი მას უნდა ეტარებინა, უკვე ვეტერანსა და სახელმოხვეჭილს.

ღამე, გზა, აღსასრული. ასე დამთავრდა.

ის კი ისეთი იყო, რომ დღესაც ითამაშებდა. დღესაც და ყველგან. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი ფეხბურთი მარად თანამედროვე თამაში გახლდათ.

**გიო ახვლედიანი**



ვიტალი დარასელიას წინ ვინ დაუდგებოდა?!

## ფეხბურთი

**781. ჯუმბერ დანელია.** რუსთავი. მძღოლი. 41 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**782. ვახტანგ ლატარია.** რუსთავი. მექანიკოსი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**783. ალეკო მაისურაძე.** თბილისი. ინჟინერი. 31 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. გიორგი სიჭინავა, 4. ვიტალი დარასელია, 5. რევაზ ჩელებაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა ხინჩაგაშვილი, ბორის სიჭინავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, გიორგი სიჭინავა, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, რევაზ ჩელებაძე

**784. ნერსეზ მაისურაძე.** თბილისი. ინჟინერი. 53 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. გიორგი ქინქლაძე, 4. შოთა იამანიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**785. მარიკა მაისურაძე-გოგორელიანი.** თბილისი. პედაგოგი. 30 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. გიორგი ქინქლაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. მანუჩარ მაჩაიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, სულიკო თორაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**786. ანზორ გოგორელიანი.** თბილისი. ქიმიკოსი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. გიორგი ქინქლაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, შოთა ხინჩაგაშვილი, გივი ხოჭოლავა, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, თენგიზ სულაქველიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, გაიოზ ჯეჯელავა

**787. ავთანდილ გოგორელიანი.** თბილისი. ინჟინერ-ფიზიკოსი. 32 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მანუჩარ მაჩაიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**788. ლევან გოგორელიანი.** თბილისი. მოსწავლე. 7 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**789. მანანა გოგორელიანი.** თბილისი. მასწავლებელი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, გიორგი სიჭინავა, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**790. შალვა გოგორელიანი.** თბილისი. სტუდენტი. 23 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, თენგიზ სულაქველიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მეხეილ მესხი

**791. ანზორ გოგორელიანი.** თბილისი. ქიმიკოსი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. შოთა იამანიძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**792. მარიამ გოგორელიანი.** თბილისი. პედაგოგი. 33 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ალიოშა კოტრიკაძე
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. შოთა იამანიძე, 4. სერგო კოტრიკაძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ნიაზ ძიაპშპა, შოთა ხინჩაგაშვილი, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**793. ელენე გოგორელიანი.** თბილისი. მოსწავლე. 7 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**794. გიორგი გოგორელიანი.** თბილისი. მათემატიკოსი. 29 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**795. ნუგზარ ქარდანახიშვილი.** თბილისი. პედაგოგი. 59 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**796. ემირ გოგორელიანი.** თბილისი. პედაგოგი. 63 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, გიორგი სიჭინავა, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**797. ნათია ლაფაური-გოგორელიანი.** თბილისი. პედაგოგი. 28 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. გივი ჩოხელი, 4. ვლადიმერ გუცაევი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, სულიკო თორაძე, , გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**798. ნინო გოგორელიანი.** თბილისი. ქიმიკოსი. 30 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. დავით ყიფიანი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**799. თამრიკო გოგორელიანი.** თბილისი. მოსწავლე. 12 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, გიორგი სიჭინავა, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**800. დავით გოგორელიანი.** თბილისი. ინჟინერი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. დავით ყიფიანი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**801. მარიამ გოგორელიანი.** თბილისი. მოსწავლე. 8 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**802. მანანა გოგორელიანი.** თბილისი. მოსწავლე. 13 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**803. დავით წიწუა.** თბილისი. ბიოქიმიკოსი. 25 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. ალექსანდრე ჩივაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. რამაზ შენგელია, 5. გოჩა ჯამარაული
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გოჩა მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, გოჩა ჯამარაული, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**804. მურთაზ ჭვანია.** ზუგდიდი. ეკონომისტი. 30 წლის: მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თემურ ქეცბაია, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**805. ტრისტან ჭვანია.** ზუგდიდი. მძღოლი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**806. პალიკო აროიაშვილი.** რუსთავი. ინჟინერ-მექანიკოსი. 76 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. გიორგი სიჭინავა
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**807. ვლადიმერ ნუცუბიძე.** თბილისი. ინჟინერ-პროგრამისტი. 29 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

**808. გელა ჯაბნიძე.** ბათუმი. ბრიგადირი. 31 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ალექსანდრე ჩივაძე
ფეხბურთელი: 1. ნიკოლოზ ტოგონიძე, 2. მიხეილ მესხი, 3. შოთა იამანიძე, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გელა შეყილაძე, ალექსანდრე ჩივაძე, სლავა მეტრეველი, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, მიხეილ მესხი, რევაზ ჩელებაძე

**809. გივი გრიგოლია.** თბილისი. ექიმი-ფსიქიატრი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ ბარქაია, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, მიხეილ მესხი

**810. მიშიკო ბახტაძე.** თბილისი. ექიმი. 32 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. შოთა იამანიძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

## კალათბურთი

### საპორტას თასი
### სპარტაკი — მაზოვშანკა
## ვაშაკიძის სპარტაკი უშანსოდ დარჩა

ირაკლი ვაშაკიძის „სპარტაკმა" საბოლოოდ დაკარგა საპორტას თასის მეთექვსმეტედფინალში გასვლის შანსი. რუსული გუნდი შინ დამარცხდა პოლონურ „მაზოვშანკასთან". თავად ვაშაკიძემ 26 წუთს ითამაშა და 6 ქულა გააკეთა. მისი კომენტარი ამგვარია:

— პირველ ტაიმში ნორმალურად ვითამაშეთ. შესვენებისთვის ანგარიში თანაბარი იყო. მერე კი, როგორც ამ ბოლო დროს დაგვჩემდა, ავურიეთ და პირწმინდად დავმარცხდით.

პირადად მე მეორე ტაიმში ექვსი წუთი ვითამაშე, რადგან ჩეხეთის ნაკრებთან ნატკენი ფეხი გამიმიზეზდა და ველარ ვმოძრაობდი.

გუნდში კვლავ არეულობაა. ხელმძღვანელობა რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებას ელოდება, მერე კი მოთამაშეთა ნაწილი უნდა გაუშვას და ახალი გუნდი ჩამოაყალიბოს.

### საპორტას თასი
### მლეკარნა — სლოვაკოფარმა
## ბერძენიშვილი [illegible]

ამ მატჩის ოქმში დავით ბერძენიშვილის გვარი რომ ვერ ვიხილეთ, თავიდან დავეჭვდით — ფიბამ ჩვენებურს სანაკრებო დისკვალიფიკაცია ევროთასებზეც ხომ არ გაუვრცელა-თქო. ბერძენიშვილთან საუბრისას კი სულ სხვა რამ გაირკვა:

— დისკვალიფიკაცია არაფერ შუაშია. ევროთასებზე გამოსვლის უფლება მაქვს, ოღონდ „მლეკარნასთან" სათამაშოდ ჩეხეთში ვერ ჩავედი — ვიზის მიღება ვერ მოვასწარი. მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს სლოვაკეთიდან ჩეხეთში გადასვლისას ვიზა მჭირდება.

ბრატისლავის აეროპორტში დიდთოვლობა იყო, ამიტომაც თვითმფრინავმა ჩაფრენა დიდი ხნით დააგვიანა. ამასობაში კი ჩეხეთის საკონსულო დაიკეტა და ხელცარიელი დავრჩი.

მეთექვსმეტედფინალში უკვე გასულები ვართ, მთავარია რომელ ადგილს დავიკავებთ. მომდევნო ტურში შინ „სპლიტს" ვხვდებით და მოგება მესამე ადგილს მოგვიტანს.

### საპორტას თასი. ჯგუფური ეტაპი. IX ტური. 8-9 დეკემბერი

#### A ჯგუფი

სონი (იტალია) — ეშტრელა (პორტუგალია) 73:61; ატლეტასი (ლიტვა) — პოლზელა (სლოვენია) 76:83; კალევი (ესტონეთი) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 80:66

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კალევი | 9 | 6 | 3 | 681:613 | 15 |
| სონი | 9 | 6 | 3 | 665:610 | 15 |
| პოლზელა | 9 | 6 | 3 | 633:628 | 15 |
| ეშტრელა | 9 | 4 | 5 | 644:665 | 13 |
| ატლეტასი | 9 | 3 | 6 | 637:683 | 12 |
| ჩერნო მორე | 9 | 2 | 7 | 674:735 | 11 |

X ტური. 15.12: სონი — კალევი, ეშტრელა — ატლეტასი, ჩერნო მორე — პოლზელა

#### B ჯგუფი

შოლე (საფრანგეთი) — მზტ (მაკედონია) 90:61; ტელეკომი (თურქეთი) — სპლიტი (ხორვატია) 75:74
მლეკარნა (ჩეხეთი) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 83:91
სლოვაკოფარმა: კუზნეცოვი (13), ლუკიანეცი (3), მიხალიკი, მიჩუდა (2), რისტანოვიჩი (23), სირტაუტასი (15), საბო (14), ზადრავეცი (21)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შოლე | 9 | 7 | 2 | 735:596 | 16 |
| ტელეკომი | 9 | 6 | 3 | 687:649 | 15 |
| სლოვაკოფარმა | 9 | 5 | 4 | 680:689 | 14 |
| სპლიტი | 9 | 4 | 5 | 718:681 | 13 |
| მზტ | 9 | 3 | 6 | 665:724 | 12 |
| მლეკარნა | 9 | 2 | 7 | 676:822 | 11 |

X ტური. 15.12: სლოვაკოფარმა — სპლიტი, მზტ — ტელეკომი, მლეკარნა — შოლე

#### C ჯგუფი

პამესა (ესპანეთი) — ჰაპოელი (ეილათი, ისრაელი) 91:61; ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — ცეპტერი (პოლონეთი) 89:82; სენტ პიოლტენი (ავსტრია) — ბროცენი (ლატვია) 76:77

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 9 | 9 | 0 | 740:614 | 18 |
| ცეპტერი | 9 | 5 | 4 | 665:641 | 14 |
| ბუდუჩნოსტი | 9 | 5 | 4 | 685:698 | 14 |
| ბროცენი | 9 | 4 | 5 | 745:735 | 13 |
| სენტ პიოლტენი | 9 | 2 | 7 | 632:673 | 11 |
| ჰაპოელი | 9 | 2 | 7 | 691:767 | 11 |

X ტური. 15.12: ცეპტერი — პამესა, ბროცენი — ჰაპოელი, ბუდუჩნოსტი — სენტ პიოლტენი

#### D ჯგუფი

აეკ (საბერძნეთი) — ზაგრები (ხორვატია) 77:51; პარტიზანი (იუგოსლავია) — პიოვარნა (სლოვენია) 89:68; ატომერომუ (უნგრეთი) — ტოპო (ფინეთი) 78:70

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი | 9 | 8 | 1 | 768:673 | 17 |
| აეკ | 9 | 7 | 2 | 686:602 | 16 |
| პიოვარნა | 9 | 6 | 3 | 743:732 | 15 |
| ზაგრები | 9 | 3 | 6 | 639:703 | 12 |
| ატომერომუ | 9 | 2 | 7 | 681:754 | 11 |
| ტოპო | 9 | 1 | 8 | 656:709 | 10 |

X ტური. 15.12: პიოვარნა — აეკ, ატომერომუ — ზაგრები, ტოპო — პარტიზანი

#### E ჯგუფი

ბოსნა (ბოსნია) — კიორმენდი (უნგრეთი) 83:63; სტატიბა (ლიტვა) — შარლერუა (ბელგია) 70:76; თოფაში (თურქეთი) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 84:74

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თოფაში | 9 | 7 | 2 | 710:583 | 16 |
| ჰაპოელი | 9 | 6 | 3 | 680:623 | 15 |
| შარლერუა | 9 | 6 | 3 | 613:618 | 15 |
| სტატიბა | 9 | 5 | 4 | 680:704 | 14 |
| კიორმენდი | 9 | 2 | 7 | 639:751 | 11 |
| ბოსნა | 9 | 1 | 8 | 600:643 | 10 |

X ტური. 15.12: შარლერუა — თოფაში, კიორმენდი — ჰაპოელი, ბოსნა — სტატიბა

#### F ჯგუფი

ლიმოჟი (საფრანგეთი) — ანტვერპენი (ბელგია) 66:48; არისი (საბერძნეთი) — ტრირი (გერმანია) 86:71; შიროკი (ბოსნია) — პლანია (შვედეთი) 82:78

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არისი | 9 | 8 | 1 | 738:578 | 17 |
| ლიმოჟი | 9 | 6 | 3 | 652:582 | 15 |
| ანტვერპენი | 9 | 5 | 4 | 649:675 | 14 |
| ტრირი | 9 | 4 | 5 | 660:693 | 13 |
| პლანია | 9 | 2 | 7 | 668:721 | 11 |
| შიროკი | 9 | 2 | 7 | 598:716 | 11 |

X ტური. 15.12: ანტვერპენი — არისი, პლანია — ტრირი, შიროკი — ლიმოჟი

#### G ჯგუფი

ხუვენტუდი (ესპანეთი) — ულმი (გერმანია) 78:61; ვენტსპილსი (ლატვია) — აპოელი (კვიპროსი) 85:82
სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) — მაზოვშანკა (პოლონეთი) 71:95
სპარტაკი: ასტახოვი (25), ასტანინი (8), ჩაპლიგინი (4), დიომინი (8), კონდრატოვი (9), რომანენკო (3), ვაშაკიძე (6), ვედიშევი (8)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხუვენტუდი | 9 | 8 | 1 | 761:641 | 17 |
| ულმი | 9 | 7 | 2 | 714:689 | 16 |
| ვენტსპილსი | 9 | 4 | 5 | 760:731 | 13 |
| მაზოვშანკა | 9 | 4 | 5 | 689:689 | 13 |
| აპოელი | 9 | 2 | 7 | 619:675 | 11 |
| სპარტაკი | 9 | 2 | 7 | 688:806 | 11 |

X ტური. 15.12: ვენტსპილსი — სპარტაკი, მაზოვშანკა — ხუვენტუდი, აპოელი — ულმი

#### H ჯგუფი

ბენეტონი (იტალია) — ოვარენშე (პორტუგალია) 81:57; ჰანს ფერკერკი (ჰოლანდია) — შტალბაუ (ავსტრია) 78:57; უნიქსი (რუსეთი) — ბიპა მოდა (უკრაინა) 91:71

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 9 | 9 | 0 | 747:582 | 18 |
| უნიქსი | 9 | 5 | 4 | 684:669 | 14 |
| ოვარენშე | 9 | 4 | 5 | 616:624 | 13 |
| ჰანს ფერკერკი | 9 | 3 | 6 | 514:566 | 12 |
| შტალბაუ | 9 | 3 | 6 | 618:682 | 12 |
| ბიპა მოდა | 9 | 3 | 6 | 593:649 | 12 |

X ტური. 15.12: ჰანს ფერკერკი — უნიქსი, შტალბაუ — ოვარენშე, ბიპა მოდა — ბენეტონი

# თურქის ლაწირაკიც დაგცინის, ქართულო კალათბურთო!

„გურჯო, ხომ დაწერ თურქთა უძლეველობაზე, იმაზე, რომ ჩვენ კალათბურთის თამაში ვიცით, თქვენ კი არა“ — ნიშნისმოგებით მეუბნება 20-22 წლის თურქი ბიჭი, რომელიც ბურსადან მომავალს დამემგზავრა და მას შემდეგ, რაც ჩემი წარმომავლობა და პროფესია შეიტყო, ლაპარაკად გადაიქცა. ჩემს ჭირად, იგი ერთ-ერთი იმათგანი აღმოჩნდა, ვინც წინა დღეს ქართველთა უსუსურობას თვალი ადევნა, ცხადადა იხილა დაბეჩავებული ქართული კალათბურთი და ამის ფონზე ფრთაშესხმული, აღმავლობის გზაზე მდგარი თურქული ბურთაობა. ახლაც თვალწინ მიდგას სიხარულისგან გაცისკროვნებული მისი სახე, ჩემთვის ავადსახსენებელი მატჩის პერიპეტიებს რომ იხსენებდა. იცით, კიდევ რა მენიშნა? რაც უფრო მეტს საუბრობდა ეს ახალგაზრდა, ვრწმუნდებოდი, რომ კალათბურთი მისთვის მეორეხარისხოვანი იყო, გაცილებით მნიშვნელოვანი კი თურქული სული, რომელიც ქართველების დარბევას ზეობდა. მე კი, მისგან გაბეზრებული, ჩემი სამშობლოს სატკივარზე ჩავფიქრდი.

— რა იცი, ოჯახქორო, ქართულ კალათბურთზე? გსმენია კი ოდესმე მის წარსულზე? იცი, რომ ეს ბიჭები, ახლა აბუჩად რომ აგიგდია, ქორქიას, საკანდელიძის, მინაშვილის, ჯორჯიკიას შთამომავლები არიან? სად იყო მაშინ თურქული კალათბურთი? — ამაზე ფიქრითლა ვიოკებ ყელში მობჯენილ ბოღმას და გული მწყდება, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ წარსულში იყო. ახლა კი...

„ფული არ არის, ფული“ — ვცდილობ, ავუხსნა მოსაუბრეს ქართული კალათბურთის ავადმყოფობის მიზეზი მოსაუბრეს რომელიც ხელის ჭუჭყსა და კალათბურთს ვერაფრით აიგივებს და ვხვდები, რომ ჩვენში ჩამოყალიბებული აზრი „ფულის ყოვლისშემძლეობაზე“ რამდენადმე გაზვიადებულია.

„იქნება ფული, იქნება კალათბურთი“ — ასეთ განცხადებას ხშირად მოისმენთ სპორტის ამ სახეობაზე „მზრუნველი“ ქართველებისგან და ის კი ველარ გაუთვითცნობიერებიათ, რომ ფულის შოვნას სხვანაირი მარიფათი სჭირდება. თუ ამის უნარი არ შეგწევს, ქუდი უნდა დაიხურო!

რა შეიცვალა ნაკრებში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლით? — ბევრი რამ. ადრე თუ 3-4 ქულას ვაგებდით და ეს გვწყინდა, ახლა უკვე იმას ვნატრობთ, სამარცხვინოდ არ წავაგოთ. ადრე თუ საბერძნეთ-იტალიას ამბიციით ვხვდებოდით, ახლა უკვე შვედეთიც გვაბიაბრუებს. მაშ, რა აზრი აქვს ჩვენს თამაშს? რისთვის ვცოდვილობთ? იქნებ სჯობდეს, საერთოდ შევეშვათ ყველაფერს და ეს ორი კაპიკიც სხვა სახეობას შევაწიოთ. მაგრამ ამას ვერ აიტანს „ფუნქციონერი“ კაცის გული — მას სახელი სჭირდება. ვერც ქართველობა იგუებს უკალათბურთობას, ეს ხომ დიადი სახელების უარყოფა იქნება, ხალხის, ვინც ერს უდიდესი სიხარული აჩუქა, კალათბურთი შეაყვარა და შეუსისხლხორცა.

ეროვნული ნაკრების წლის საუკეთესო შეხვედრად ჩეხეთთან შეიძლება ლოვანი დამარცხება „მოინათლა“. ამის შემდეგ თბილისური სირცხვილი შვედეთთან და 43-ქულიანი დარბევა თურქეთისგან, რომლის თვითმხილველიც თავად გახლავართ. და მაინც, კალათბურთელებზე ცუდის სათქმელად ენა არ მიბრუნდება. ისინი რიგითი ჯარისკაცები არიან და ისე ომობენ, როგორც ასწავლეს. ომს კი თავისი კანონები აქვს და დამარცხება მოუნდომებლობას როდი ნიშნავს. ჯარისკაცმა რომც მოინდომოს, ვერას გახდება, თუ საომარი სტრატეგია არ არსებობს. ყოველივე ამას ძალიან შორს მივყავართ და უნებურად თუთაშხიასეული დიალოგი მახსენდება, როცა იგი ბოროტების სათავეზე საუბრობს. იქნებ უმოქმედობა ამ შემთხვევაში ბოროტებაზე მეტია.

როცა სტრატეგიაზე და მწვრთნელთა პოლიტიკაზე ჩამოვარდება სიტყვა, აუცილებლად დღევანდელობის, ანუ ჩვენში არსებული აუტანელი ყოფის გათვალისწინებით უნდა იმსჯელო. ყველამ ვიცით, რომ პირობები, რომლებსაც მწვრთნელებს და მოთამაშეებს უქმნიან, სასაცილოა. მეტიც, გაუსაძლისი, მაგრამ როცა გუნდის მესაჭეთა საქმიანობაში ნაკლოვანებებს ხელავ, ხმამაღლა თქმას არ უნდა მოერიდო, მით უფრო, რომ ეს დარღვევები პირობებთან ყველაზე ნაკლებადაა კავშირში. მწვრთნელთა მიერ გადადგმული ნაბიჯი ნაკრების გაახალგაზრდავებისთვის ერთობ ნაადრევი გამოდგა. ისე არ გაიგოთ, თითქოს ამას ვინმე უპირისპირდებოდეს, მაგრამ თავად შედეგი ეწინააღმდეგება ქართულ კალათბურთს. თაობათა ცვლა აუცილებელი პროცესია, მაგრამ მწვრთნელის სიძლიერე მაშინ ჩნდება, როცა ეს მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ ხერხდება. გუნდი, რომელიც ერთი წლის წინ მეტოქეებს ტოლ-სწორად ეთამაშება, ახლა ასე სამარცხვინოდ არ უნდა მარცხდებოდეს. აქედან გამომდინარე, საფიქრელია, რომ ჩვენს ხელთ მყოფი კალათბურთელებითაც კი უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლება.


სარბიელის არქივიდან

1995 წლის 11 ოქტომბერი. საქართველო — ბოსნია. მაშინ სტეფანიაც გვყავდა და ნაკრებიც, ახლა კი...

უსტეფანიობაც თავსატეხად დაატყდა ეროვნულ გუნდს. საუკეთესო ქართველი კალათბურთელი გაურბის სამშობლოს სახელით თამაშს. ვერავინ დამაჯერებს, ვოვას პატრიოტული გრძნობები [illegible], [illegible] აზრია და [illegible] უფრო ღრმად ჩასწვდეს ვითარების არსს. იქნებ სხვაგან ვეძიოთ მიზეზი? რა ხდება, რატომ აიყარა ბიჭმა გული საქართველოზე? იქნებ „სხვანაირად აღზრდილი“ სტეფანიას გულმა ვერ დაიტია ის ბოღმა და ღვარძლი, რითაც მას გუნდის სამზარეულოში კვებავდნენ? რატომ შემოსწყრა ნაკრებს ლევან ქარაბაკი? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩეხთთან არ ათამაშეს? არა, არა, რაღაცაშია საქმე სათქმელი ადრე თუ გვიან ითქმება, ოღონდ როდის, ღმერთმა უწყის.

ახლა შინაურ პირველობას აღარ იკითხავთ? მას ჩემპიონატს პირობითად თუ უწოდებ კაცი, თორემ ყველა კარგად ხედავს, რა ბედენაცაა. ექვსგზის ჩემპიონი „ვითა“ თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა და ვითომც არაფერიო, კაციშვილი ყურს არ იბერტყავს. მობეზრდა იმ კაცს ტყუილად ფულის ყრა, ამოუვიდა ყელში ამდენი უსამართლობა და გაუყვა თავის გზას. მის ადგილზე ბევრი ამას გაცილებით ადრე გააკეთებდა, მაგრამ ითმინა, ითმინა... ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? არც სხვა კლუბები არიან დალხენილი. კაპიკს კაპიკზე ადებენ, რომ კალათბურთელს როგორმე ჯამაგირი გადაუხადონ და ისიც თვეობით მშიერ-მწყურვალნი დარბიან გაყინულ და ჩაბნელებულ ვერის ბაღში. ისეთი რა ჯიბესქელობაა საჭირო დარბაზის გასათბობად? სულ მთლად კაპიკებს ხომ არ შევწირავთ ქართულ კალათბურთს?

–წერე და იკითხეო — ასელა ფიქრობენ დიდკაცები და გაზულუქებულნი ვერც ხვდებიან, რა საოცრად დაპატარავდნენ. უმოქმედობით პირს ურცხვენენ ქართულ კალათბურთს. მათი დამცრობა იქით იყოს, კალათბურთი დაგვიპატარავდა და სულ მალე მასზე მოგონებებიღა შეგვრჩება.

თურქის ლაწირაკიც დაგცინის, ქართულო კალათბურთო! აჰა, ამასაც მოესწარი.

**გიორგი ბიძაშვილი**

# მარადიული ომი: პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი

## დუშან ივკოვიჩი ბინძური, ნახმარი პრეზერვატივია

არცთუ შესაშური ეკონომიკური მდგომარეობის გამო (თუმცა ეს ჩვენგან რა სათქმელია) უბრალო ბერძნები უქმეების თუ თავისუფალი დროის მრავალფეროვნებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან. კინოთეატრები, ქუჩაში გამართული იმპროვიზებული წარმოდგენები, კათხა ბერძნულ ლუდთან ბარში გატარებული რამდენიმე საათი... დაახლოებით სულ ეს არის. მაგრამ ამ უძველესი და უმდიდრესი კულტურის მქონე ხალხს აქვს კიდევ ერთი თავშესაქცევი, რომელსაც ალბათ ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბერძნებს სპორტი სისხლში აქვთ გამჯდარი. ალბათ ესეც მრავალი საუკუნის წინ ჩაენერგათ გენებში და აქამდეც გამოჰყვათ.

ალბათ თავადაც მოგეხსენებათ ან რა დიდი ფიცი-მტკიცი ამას უნდა, რომ საბერძნეთში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა კალათბურთია. კალათბურთი ბერძენთათვის დაახლოებით იგივეა, რაც ბრაზილიელთათვის ფეხბურთი, კანადელთათვის — ჰოკეი, ავსტრალიელთათვის — რაგბი, პაკისტანელთათვის — კრიკეტი და ასე შემდეგ. მთელ ქვეყანაში, დაწყებული დედაქალაქით და დამთავრებული პატარა, მიყრუებული დაბებით, ყველგან უამრავი საკალათბურთო მოედანია მოწყობილი. მათი ხარისხი მთლად დამაკმაყოფილებელი ვერ არის, მაგრამ ეგ არაფერი. მთავარია, რომ ეს მოედნები ძირითად ფუნქციას მაინც ასრულებენ. ბავშვები კალათბურთის თამაშს სწორედ აქ იწყებენ და ნიჭით გამორჩეულნი შემდეგ მიდიან სექციებში, სადაც მათ დაოსტატებაზე უკვე პროფესიონალი მწვრთნელები ზრუნავენ.

მაგრამ ბერძენთათვის უსაყვარლეს კალათბურთშიც კი არის ისეთი მოვლენა, რომელიც ჯანსაღი სპორტული ინტერესების სფეროს სცილდება. ეს გახლავთ პაექრობა ორ გრანდს, „პანათინაიკოსსა“ და „ოლიმპიაკოსს“ შორის.

შეგვეძლო კონკრეტულად რომელიმე მატჩის შესახებ მოგვეთხრო, მაგრამ, ვფიქრობთ, ამას აზრი არა აქვს. მოედანზე მიმდინარე მოვლენებს თუ გამოვრიცხავთ, ტრიბუნაზეც და ქუჩაშიც ყოველივე თითქმის ერთნაირი სცენარით ვითარდება. თუ რატომ „თითქმის“, ამაზე ცოტა ქვემოთ. ჯერ კი ის ვთქვათ, თუ ვინ გულშემატკივრობს ამ გუნდებს. „პანათინაიკოსი“ უფრო ელიტარულ გუნდად არის ცნობილი და ათენის მთელი ბომონდიც სწორედ მას ეთაყვანება. „ოლიმპიაკოსი“ უფრო სახალხო გუნდია. ითვლება, რომ იგი ყველას ეკუთვნის. არა, ისეც არ არის საქმე, რომ ერთს მხოლოდ არისტოკრატები ქომაგობენ, მეორეს კი — მდაბიონი. ამას ისე, სიმბოლურად მიიჩნევენ, თორემ თავი, გნებავთ მუშათა კლასს მიაკუთვნეთ, გნებავთ, არისტოკრატიას და უქომაგეთ, რამდენიც გსურთ.

„პანათინაიკოსისა“ და „ოლიმპიაკოსის“ მტრობა რამდენიმე ათეულ წელიწადს ითვლის. რატომღაც ასე მოხდა, რომ ამ გუნდების პირველივე შეხვედრა უაღრესად არასპორტულ ატმოსფეროში ჩატარდა და მეტად სისხლიანი გამოდგა. ეს იყო 1929 წელს. ამჟამად იმ მატჩის არცერთი მონაწილე ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ყოველი კალათბურთის მოყვარული ბერძნისთვის კარგად არის ცნობილი, რომ თამაშის მეცამეტე (ესეც ერთგვარად სიმბოლურია) წუთზე მოთამაშეების თითქოსდა უწყინარი შელაპარაკება გადაიზარდა დიდ, გრანდიოზულ ჩხუბში, რომელშიც თავი არ დაზოგეს არა მარტო კალათბურთელებმა, არამედ მწვრთნელებმა, ექიმებმა და პრეზიდენტებმაც კი!

ეს ამბავი ბერძნული კალათბურთის ისტორიაში ერთადერთი არ ყოფილა და ასეთი მინი-ომები საკალათბურთო მოედანზე სხვაც არაერთი გაჩაღებულა. ორი გუნდის საჩემპიონო პაექრობაში ხანდახან პაოკი ჩაერთვება, ხან აეკი გამოიღებს ხელს,



დუშან ივკოვიჩი: ვითომ ჰგავს ეს კაცი ნახმარ პრეზერვატივს?

მაგრამ ეს მაინც სხვა და თუ პლეი ოფების ფინალამდე „პანათინაიკოსმა“ და „ოლიმპიაკოსმა“ მიაღწიეს, მაშინ მტრისას.

ორი მტრად მოკიდებული გუნდის შეხვედრებისას მატჩის მონაწილე და მატჩით დაინტერესებული ორივე მხარე დილიდანვე იჭერს თადარიგს. ქუჩაში მრავლად იხილავთ „ოლიმპიაკოსის“ წითელ და „პანათინაიკოსის“ მწვანე მაისურებში გამოწყობილი ახალგაზრდებს. დროშები, პლაკატები და გუნდების სიმბოლიკიანი სხვა საგნებიც აურაცხელია. ბარებისა და ფარდულების უფრო ფრთხილი მეპატრონეები კეტავენ თავის დაწესებულებებს, უფრო გაბედულნი კი რისკზე მიდიან. თუ გაუმართლათ, ნავაჭრი რიგიანი იქნება, რადგან ქუჩებში უამრავი ხალხი ირევა, თუ არა, მაშინ დალეწილი საკუთრების აღდგენა თავადვე მოუწევთ. ფანები ხომ აჯაგრულები არიან! როგორც წესი, ხელჩართული ბრძოლები უფრო ხშირად მატჩების შემდეგ ჩაღდება, მაგრამ დაზღვეული თამაშამდეც არავინ არის.

შეხვედრისას გვერდზე მჯდომს ნუ დაელაპარაკებით: მაინც ვერაფერს გააგონებთ. თუ რამის თქმა გნებავთ, იღრიალეთ, იქნებ გაგიმართლოთ. ცნობილ მიზეზთა გამო ორივე გუნდის გულშემატკივრებს ტრიბუნებზე ცალ-ცალკე სხამენ და ერთმანეთთან მიახლოების საშუალებას არ აძლევენ. მაშინაც კი, როდესაც ამა თუ იმ გუნდს, ცუდად მისდის საქმეები და ჩემპიონატში უხეიროდ თამაშობს, „პანათინაიკოსი“ და „ოლიმპიაკოსი“ ერთმანეთს მაინც გააფთრებით ებრძვიან და, რომ იტყვიან, გოჯსაც კი არ თმობენ.

ამ დღეებში ყველაზე მეტი საქმე მაინც სამართალდამცავებს უჩნდებათ. ქუჩებში უამრავი პოლიციელია და არა მარტო ქუჩებში: ავტობუსებში, მეტროს ვაგონებში, რესტორნებსა და ბარებში, სხვა ხალხმრავალ ადგილებში ხელკეტიანი, ლურჯფორმიანი პოლიციელები დგანან. მათი მოზღვავება განსაკუთრებით მატჩების დასრულების შემდეგ იგრძნობა, როდესაც აყალმაყალის შანსი ერთობ დიდია.

1995-96 წლებში „პანათინაიკოსმა“ ევროლიგის ფინალში ესპანეთის „ბარსელონა“ დაამარცხა. მაშინ ათენელთა აღტაცებას და პირეოსელთა სინანულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთი წლის შემდეგ კი „ოლიმპიაკოსმა“ გაიმარჯვა ევროლიგაში (სხვათა შორის, ფინალში მანაც „ბარსელონას“ სძლია) და ვითარება შეიცვალა: „ოლიმპიაკოსის“ გულშემატკივართა ზეობის და „პანათინაიკოსის“ ქომაგთა გლოვის ჟამი დადგა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ამ გუნდების გულშემატკივართათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვის ეთამაშება მათი მოძულე და ისინი ნებისმიერ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ქომაგობენ, თუნდ ესპანელი იყოს ის, თუნდ ფრანგი, თუნდაც მაროკოელი. ბერძნული წარმომავლობა და პატრიოტული გრძნობები ამ დროს მეორე პლანზე გადადის.

ზემოთ ვთქვით, ყოველივე თითქმის ერთნაირი სცენარით ვითარდებაო. თითქმის... ეს იმიტომ, რომ არის იშვიათი შემთხვევები, როდესაც გუნდების ხელმძღვანელთა ან გულშემატკივართა მოლაპარაკების შედეგად მტრულ ბანაკებს შორის დროებითი ზავი ჩამოვარდება ხოლმე. ასე იყო, მაგალითად, ოთხი წლის წინ, როდესაც საბერძნეთის და თურქეთის ისედაც დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა და ლამის ნამდვილ ომში გადაიზარდა. გულშემატკივრებმა ანგარიში გაუწიეს შექმნილ ვითარებას და საერთო ეროვნული ერთიანობა ერთმანეთს შორის ზავით გამოხატეს. თუმცა ერთხელაც ვიტყვით: მსგავსი შემთხვევები თითებზე ჩამოითვლება.

ვითარების სიმძაფრეში უფრო ღრმად ჩასახედად ერთ ამბავსაც გავიხსენებთ. 1997-98 წლების სეზონში „პანათინაიკოსის“ პრეზიდენტმა პავლოს იანაკოპულოსმა „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელს, ცნობილ იუგოსლაველ სპეციალისტს დუშან ივკოვიჩს საჯაროდ უწოდა „ბინძური, ნახმარი პრეზერვატივი“. საბერძნეთის კალათბურის ფედერაციამ „პანათინაიკოსი“ კარგა გვარიანად დააჯარიმა, ხოლო იანაკოპულოსს ბოდიშის მოხდა მოსთხოვა. იანაკოპულოსმა ბოდიში მართლაც მოიხადა, მაგრამ ესეც დასძინა, აზრი არ შემიცვლია და კვლავ უწინდებურად ვფიქრობო.

ჩვენი პირადი აზრი კი ასეთია: სანამ საბერძნეთში კალათბურთი იარსებებს, „პანათინაიკოსისა“ და „ოლიმპიაკოსის“ დაპირისპირებაც მუდამ იქნება.

**დავით ძადაგიშვილი**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

ძიუდო

*ახლახან ევროპის ახალგაზრდა ძიუდოისტთა ჩემპიონატში დავით მარგოშვილისა და ფირუზ ტყეშელაშვილის წარმატებაზე გაუწყეთ. გუშინ რედაქციაში გუნდის მთავარი მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი გვეწვია და ამ ტურნირზე დაწვრილებითაც გვესაუბრა.*

# უპარაჯიშებელი ჩემპიონი

— ბუქარესტში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში, არასრული, სამკაციანი გუნდით ვმონაწილეობდით — დავით მარგოშვილი 60 კილოგრამში გამოდიოდა, ფირუზ ტყეშელაშვილი 66-ში, გიორგი ნადირაშვილი 73-ში. მარგოშვილი ჩემპიონი გახდა, ტყეშელაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამ შედეგით 39 გუნდში მესამე ადგილი დავიკავეთ.

**— შედეგით ალბათ კმაყოფილი ხართ...**

— კმაყოფილი როგორ არ ვიქნები, მით უმეტეს, თუ ჩვენს მოსამზადებელ პირობებს გავითვალისწინებთ, მოსამზადებელი ეტაპი, ფაქტობრივად, არც გვქონია და ამხელა ტურნირზე მხოლოდ ძიუდოს ფედერაციის დარბაზში ვარჯიშის იმედით გავემგზავრეთ. ეგ კიდევ არაფერი — რუმინეთში ბატონ ალეკო ნადირაშვილის — გიორგის მამის BMW-თი წავედით, ხოლო გზის ფული ბატონმა ლერი ხაბელოვმა გვიშოვა. ორივეს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. რომ არა მათი დახმარება, რუმინეთში ვერც წავიდოდით. ერთი სიტყვით, მიღწეულით კმაყოფილი ვარ, მაგრამ გიორგი ნადირაშვილს რომ უფრო უკეთ შეემზადებინა ფსიქოლოგიურად თავი, შედეგი უკეთესი გვექნებოდა. არადა, ის ორივეზე კარგად ასპარეზობდა საერთაშორისო თუ სხვა რანგის ტურნირებზე.

**— უკან დასაბრუნებელი გზაც არ გქონიათ ია-ვარდებით მოფენილი.**

— რუმინეთში ჩვენი ჩასვლის დღიდან თოვა დაიწყო. დიდთოვლობა არ ეთქმოდა, მაგრამ საშინლად ყინავდა. წამოსვლის დღეს აკუმულატორის გაყინვის გამო მანქანის კარების გაღება ვერაფრით მოვახერხეთ. ასე ვიწვალეთ საღამოს ექვს საათამდე. ბოლოს, როგორც იქნა, მარგოშვილი, როგორც ყველაზე ტანმორჩილი, საბარგულიდან გადავაძვრინეთ და ამით გვეშველა. იმ ღამით წამოსვლას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ მეორე დღეს გამოვემგზავრეთ. 200 კილომეტრი მოყინულ გზაზე ვიარეთ, საათში 30 კილომეტრის სიჩქარით. ასე, კუს ნაბიჯებით მივაღწიეთ ბულგარეთამდე, სადაც დარი დაგვხვდა. რომ გვეგონა, სამშვიდობოს ვართ და შინ უპრობლემოდ ჩამოვაღწევდით, თურქებმა გვიშარეს საბაჟოზე და გვარიანადაც გვანერვიულეს. თან, დიდხანსაც გაგვაჩერეს. როდის იყო და როგორც იქნა, ჩამოვედით თბილისში.

ირაკლი თავაძე





გიორგი ნადირაშვილი, ჯემალ ნათელაშვილი, დავით მარგოშვილი და ფირუზ ტყეშელაშვილი

ჩოგბურთი

საჩოგბურთო პორტრეტი ინტერიერში

# ნატაშა ზვერევა ქალი სინანულის გარეშე

*ნატაშა ზვერევა შეიძლებოდა დიდი ჩემპიონი გამხდარიყო და ჩოგბურთის „დიდების დარბაზშიც“ (განაღდებული) ადგილი მხოლოდ წყვილებში მოპოვებული გამარჯვებებით არ გაეკვალა. მაგრამ ისევე, როგორც ყოფილი საბჭოეთის სივრცეებიდან გამოსულ სხვა ნიჭიერ ჩოგბურთელებს, იოლი მილიონების მოხვეჭის შესაძლებლობამ მასაც წაართვა მეტის მიღწევის და ოფლის ღვრის სურვილი.*

ყოველ დილით ნატაშა ზვერევა ერთ კითხვას უსვამს საკუთარ თავს: „დღეს რა უნდა გავაკეთო“?

თუ იგი კალიფორნიულ ნიუპორტ ბიჩში იმყოფება, ელიტარულ ზღვისპირა კურორტში, სადაც ტურნირებისგან მოცალეობის დროს სახლობს, დღის განრიგი, როგორც წესი, ასეთია: ვლადიმერ ნაბოკოვის მოთხრობების კრებულისთვის თვალის გადავლება; ქალაქის ერთ-ერთ ელიტარულ ბუტიკში საყიდლებზე გამგზავრება; დისკოთეკაზე ისეთი მონდომებით ცეკვა, რასაც კორტზე იშვიათად თუ ამჟღავნებს; სადილზე ხუთიოდ გურმანი მეგობრის მოწვევა. მაგალითად, ამ ზაფხულს ზედიზედ სამ კალიფორნიულ ტურნირზე წარმატებით გამოსვლა ზვერევამ პატარა წვეულებით აღნიშნა, სადაც სტუმრებს თავისივე მომზადებული მოხარშული კიბორჩხალები, სატაცური, ჯვარედინად შემწვარი კარტოფილი და უზარმაზარი ხილის ტორტი მიართვა.

კინაღამ გამოგვრჩა, განრიგში ასევე ნიუპორტელ მოყვარულ ჩოგბურთელ კევინ ფორბსთან, ან ახლანდელ მეწყვილე ლინდსი დევენპორტთან ბურთის გადაგდება-გადმოგდებაც შედის. ვარჯიშს ამას ვერაფრით დაარქმევ — ერთი საათის მანძილზე მეგობრული გათამაშება სუპერმარკეტში ზვერევას ტიპიურ მოგზაურობასაც კი ჩამოუვარდება ინტენსიურობით. ნურც კი იფიქრებთ, რომ ამის გარდა იგი ტრენაჟორებზე ვარჯიშით, ან მოკლე დისტანციებზე სირბილით იწუხებს თავს, განრიგში მსგავს რამეს ვერასოდეს აღმოაჩენთ.

გამოაკლეთ ამას შინ მომზადებული კერძები, დაუმატეთ ერთი-ორი მატჩი და ზვერევას სატურნირო ცხოვრების სრულ სურათსაც მიიღებთ. ზოგჯერ, როგორც სტენფორდის პირველობის ფინალში, იგი წყვილების შეხვედრაზე ყოველგვარი მოთელვის გარეშე ცხადდება, ნამძინარევ თვალებს სათვალის უკან მალავს. მაგრამ როგორც კი მატჩი იწყება, ნატაშას ხასიათი ეცვლება, სტაბილურ და შემოქმედებით თამაშს ხშირ სიცილს უნაცვლებს, ერთი საათის შემდეგ კი გამარჯვების ნიშნად დევენპორტს ეხვევა.

წყვილებში ზვერევას შესანიშნავი კარიერა 70 ტიტულს, მათ შორის 20 დიდი სლემის ტურნირისას მოიცავს. აი, ერთეულებში კი საქმე სხვაგვარადაა. მიუხედავად იმისა, რომ 18 წლისამ კლასიფიკაციაში მეხუთე ადგილს უწია, სულ სამი პირველობა აქვს მოგებული, დიდი სლემის ტურნირის ფინალში კი ერთადერთხელ, შორეულ 1988-ში უასპარეზია. სხვათა შორის, იმ ჩოგბურთელებს შორის, რომელთაც ბოლოლა ტურნირი არასოდეს მოუგიათ, კარიერის საპრიზოებით (6,6 მილიონი დოლარი) იგი პირველ ადგილზეა.

„არ ვიცი, რატომ, მაგრამ წყვილებში თამაში თითქოს თავისთავად გამომდიოდა — აღნიშნავს იგი — და ეს ყოველთვის ასე იყო. აქ თითქოს ყველაფერი იოლია, ერთეულებისთვის უპატიებელი წუნი, მაგალითად ჩემი არცთუ სტაბილური მოწოდება, დამღუპველი არ არის, თანაც მხოლოდ კორტის ნახევარზე გარჯა მიხდება“.

ამ ზაფხულის მცირე მონაკვეთში ზვერევამ თავის მრავალრიცხოვან ქომაგებს უკეთესი მომავლის იმედი გაუჩინა. ეს ბალახზე მოხდა, საფარზე, რომელიც მისი თამაშის სტილს ყველაზე უკეთ შეეფერება.

ისტბორნში მეორე წრეში ნატაშამ ვინუს უილიამსი დაამარცხა — 6:2, 6:1. უიმბლდონის მესამე წრეში ამას შტეფი გრაფის 6:4, 7:5 დამარცხება მოჰყვა (პირველი 19 შეხვედრაში). ხუთი დღის შემდეგ კი მორიგი მსხვერპლი, ასევე ორ სეტში, მონიკა სელეში შეიქნა. ისტორიაში მხოლოდ მეორედ მოხდა, ერთ ტურნირზე ერთი და იგივე ჩოგბურთელს გრაფისთვისაც მოეგოს და სელეშისთვისაც.

უიმბლდონურმა გმირობებმა (რასაც ნახევარფინალში ნატალი ტოზიასთან მარცხს ვერაფრით მივათვლით) ზვერევა კლასიფიკაციაში 22-დან მე-15 ადგილზე დააწინაურა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ანომალია სწორედ მსგავსი წარმატება ყოფილა — მისი მიზნები ერთეულებში ისევ მოკრძალებული და, ცოტა არ იყოს, უცნაური რჩება.

„საუკეთესოთა ათეულში მოხვედრა ცუდი არ იქნება, ოღონდ მეორე ნახევარში — ნელა, დაბალ ხმაზე ამბობს იგი — ბედნიერი ვიქნებოდი, თუ მერვედან მეათე ადგილს დავიკავებდი, თუმცა არც მეშვიდეს დავიწუნებდი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მსგავსი წარმატების მიღწევა ჩემი ბუნებრივი ნიჭითაც შემიძლია. ძალიან ზარმაცი ვარ, ბევრი ვარჯიშისთვის თავს ვერაფრით გადავდებ. მიუხედავად იმისა, რომ ერთეულები ჩემთვის ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა“.

მართლაც, თავიდან ისე ჩანდა, რომ ზვერევა საბჭოეთის მანამდე საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის, უიმბლდონის 1974 წლის ფინალისტ ოლგა მოროზოვას შედეგებს გააუმჯობესებდა. 1987 წელს იუნიორებში მან დიდი სლემის სამი ტურნირი მოიგო, მომდევნო სეზონში კი, ახალბედა 17 წლის პროფესიონალმა მარტინა ნავრატილოვა დაამარცხა და როლან გაროსის ფინალში აღმოჩნდა.

„ჩვენ ჯონ მაკინროისა და მარტინა ჰინგისის მსგავს ნიჭზე ვსაუბრობთ — ამბობს მოროზოვა, ყოფილი სსრკ-ის ეროვნული გუნდის მწვრთნელი, რომელიც ახლა ბრიტანეთის ბალახის ჩოგბურთის ასოციაციაში მუშაობს — მას ბურთით ნებისმიერი რამის გაკეთება შეეძლო“.

მაგრამ მას შემდეგ, რაც იმ ავადსახსენებელ ფინალში საუკეთესო ფორმაში მყოფ შტეფი გრაფთან საშინლად მონერვიულემ 32 წუთში (დიდი სლემის ტურნირების ფინალების რეკორდი) 0:6, 0:6 წააგო, პროგრესის ნაცვლად ზვერევას საქმეები ერთეულებში უკან-უკან წავიდა. საუკეთესოთა ათეულს იგი ერთადერთხელ დაუბრუნდა, 1997 წლის დასაწყისში კი კლასიფიკაციაში 57-ე ადგილამდე დაეშვა.

წარუმატებლობას იგი გრაფის ფორჰენდის, ან სელეშის მიღების მსგავსი „დიდი იარაღის“ არქონას აბრალებს, მიზეზი კი სულ სხვაა. — მიუხედავად მისი განცხადებისა, რომ ერთეულებში მიღწევები ძალიან აინტერესებს, ზვერევას საქციელი სხვას მოწმობს: მწვრთნელი მას 1990 წლიდან მოყოლებული არ ჰყოლია, არცთუ შთამბეჭდავი სისწრაფის გასაუმჯობესებლად თითიც არასდროს გაუტოკებია, ხანგრძლივი მატჩების დროს კი, თავისივე აღიარებით, გამარჯვებაზე მეტად მისი დროზე დასრულება ადარდებს.

„მეტი ვარჯიში არასოდეს წამდგომია, ეს მხოლოდ თავს მაბეზრებს — აღიარებს იგი — ასე საკუთარი თავისგან რაღაცის მიღწევას ველი, რაც ფსიქოლოგიურად ზედმეტ ტვირთად მაწვება“. მიდგომა, რომელშიც საბჭოთა კავშირში გატარებული მძიმე ბავშვობის გამოძახილი ჩანს.

ნატაშას მშობლები, მარატ და ნინა ზვერევები, ჩოგბურთის მასწავლებლები იყვნენ. მარატმა, რომელიც საბჭოთა არმიის კლუბში მუშაობდა, თავიდანვე გადაწყვიტა, ჩოგბურთი მისი ქალიშვილისთვის კარგი ცხოვრების საგზური გამხდარიყო და 7 წლის ასაკიდან ნატალიას (სახელი, რომელიც ზვერევამ 1994-ში ოფიციალურად შეიცვალა) ლამის ძალად გაუძღვნენ დიდებისკენ.

„ეს იყო მძიმე შრომის დრო, ჩოგბურთის, დატვირთვებისა და მატჩების დაუსრულებელი საათები“ — ხვნეშით იხსენებს ზვერევა „რეპრესირებული“ (თავისივე თქმით) ცხოვრების სტილისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლა 18 წლიდან დაიწყო.

თავიდან მამის წაქეზებით სამიზნე საბჭოთა სპორტის კომიტეტი გახდა, რომელიც მისი საპრიზოების ლომის წილს ითვისებდა, სახარჯოდ კი კვირაში 1000 დოლარს იძლეოდა. 1989 წლის აპრილში ჰილტონ ჰედ აილენდში ფინალში გასვლის შემდეგ ზვერევამ ამერიკის ეროვნულ ტელევიზიას განუცხადა, საპრიზოებიდან თითოეული ცენტის ჩემთვის დატოვება მინდაო.

წყალშემდგარი საბჭოთა რეჟიმისთვის ზვერევას დონის ვარსკვლავის დასავლეთში გაქცევა მეტად მძიმე დარტყმა იქნებოდა, ამიტომ ჩოგბურთელს საბანკო ანგარიშებში ჩაურევლობა აღუთქვეს. მერე კი მამის დროც დადგა. ნატაშამ 1990-ში იგი მწვრთნელის მოვალეობისგან გაათავისუფლა და მარტო მოგზაურობა არჩია. „თავიდან ეს ორივესთვის ძალიან მტკივნეული იყო“ — ამბობს იგი.

ზვერევას დედასთან ახლაც ახლო ურთიერთობა აქვს — მინსკში წელიწადში ოთხჯერ მაინც ნახულობს, მაგრამ იგივეს მამაზე ვერ იტყვი: „მისი ცხოვრება ჩოგბურთი, ჩოგბურთი და კიდევ ჩოგბურთია, ეს კი მე არა ვარ“.

მიუხედავად იმისა, რომ სტიმულის ნაკლებობა ერთეულებისთვის გამოუსწორებელი წუნი აღმოჩნდა, ამას ნატაშასთვის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მეწყვილედ გახდომაში ხელი არ შეუშლია. არაჩვეულებრივი რეფლექსები მას გათამაშების სწრაფად დასრულებაში უწყობს ხელს, მახვილი დარტყმებით კორიდორებს შესანიშნავად იყენებს და გუნდის წევრად ყოფნა თითქოს თამაშის სურვილსაც ჰმატებს.

„როდესაც მისი იმედი აქვთ, იგი არავის გააწბილებს“ — ასე ხსნის ამას მოროზოვა. „იგი უბრალოდ საუკეთესო მეწყვილეა, მხარდამჭერი, მეგობრული, მხიარული და საზრიანი“ — უმატებს დევენპორტი.

წლეულს დევენპორტთან შეწყვილებამდე ზვერევას ოთხ სხვადასხვა პარტნიორთან ჰქონდა დიდი სლემის ტურნირი მოგებული: 1989-ის როლან გაროსი და 1991-ის უიმბლდონი ლარისა ნეილანდთან, 1991-ის აშშ-ის ღია პირველობა პემ შრაივერთან, მაგრამ სრულყოფილი მეწყვილე ნატაშამ მხოლოდ 1992-ში აღმოაჩინა ჯიჯი ფერნანდესის სახით.

სხვა ლეგენდარული დუეტებისგან განსხვავებით, ერთეულებში მიღწევებით არც ზვერევა გამოირჩეოდა და არც ფერნანდესი, მაგრამ ერთად თამაშისას ისინი თითქოს ერთმანეთს ავსებდნენ. თუმცა კორტი კორტია, ჰარმონია კი პირად ცხოვრებაზე არ ვრცელდებოდა — მათი დამოუკიდებელი და ტემპერამენტული ხასიათის გამო გამარჯვებებთან ერთად კონფლიქტებიც ხშირი იყო.

1997-ის დასაწყისში დროებითი დაშორების შემდეგ, როცა ზვერევამ მარტინა ჰინგისთან ერთად ავსტრალიის ღია პირველობაზე იმარჯვა, წყვილი ისევ გაერთიანდა. ამას როლან გაროსისა და უიმბლდონის ტიტულები მოჰყვა, რამაც ექვსწლიანი თანამშრომლობის შედეგი 14 დიდი სლემის ჩემპიონობამდე გაზარდა.

წარმატებული დუეტი შარშანდელი სეზონის ბოლოს ფერნანდესის პენსიაზე გასვლის გამო საბოლოოდ დაიშალა, თუმცა ძველი დროის გახსენება არც ერთ მათგანს არ სიამოვნებს. ჯიჯიმ, მაგალითად, ზვერევას შესახებ სტატიისთვის რამდენიმე წინადადების თქმაც კი დაიზარა (იგი თავისუფალი ცხოვრებით ტკბება — ხსნის ნატაშა). უხვსიტყვიანობას არც თავად ბელარუსი იჩენს: „ჩვენ აუცილებელი ქიმისთრი (ჩვენებურად რაღაც გაგების მსგავსი) გაგვაჩნდა.“

ამგვარი მოკლე პასუხები ზვერევას ზუსტად ახასიათებს — ჩოგბურთელი თავის პირად ცხოვრებას და ნამდვილ გრძნობებს თვით ახლო მეგობრებსაც კი იშვიათად უმხელს. „იგი სხარტი და დელიკატური პიროვნებაა, მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ, ნეტა მისი უკეთ მესმოდეს-მეთქი. ნატაშა მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას სრულიად მარტოც კომფორტულად იგრძნობდა თავს“ — ამბობს დევენპორტი. „იგი რთული, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანია“ — მიაჩნია ნეილანდს.

ზვერევას ახლო მეგობარი ჯულია ენტონი კი თვლის, რომ ნატაშა სელეშზე და გრაფზე უფრო ბედნიერია: „იმიტომ, რომ იგი მათსავით წარმატების სურვილით არ არის შეპყრობილი. თუმცა როდესაც წლების შემდეგ უკან მოიხედავს, შეიძლება ინანოს კიდეც, რომ საკუთარ თავს განდიდების შესაძლებლობა მოაკლო.“

თუმცა ენტონი ზვერევას ერთ მნიშვნელოვან თვისებას არ ითვალისწინებს — დილაობით იგი მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრობს და არა იმაზე, გუშინ რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

„წარსულის გახსენება არ მიყვარს, მე მომავლით ვცხოვრობ — ამბობს ზვერევა და თავისი „ჯერ გავლა, მერე სწავლის“ პრინციპს ასე აგვირგვინებს — იმისთვის რომ ბევრს მიაღწიო, სურვილი უნდა გქონდეს, მე კი ეს სულაც არ მადარდებს. არც ვინმეს გამო ვთამაშობ. მე ისე ვცხოვრობ, როგორც მსურს.“

ჟურნალ „ტენისიდან“ თარგმნა
ავთანდილ სვანიძემ





ნატაშა ზვერევა

## წყალბურთი



რევაზ ჩომახიძე

ახლახან რუსეთის ჩემპიონატში ვოლგოგრადის „ლუკოილმა“ მოსკოვში იქაურ „დინამოს“ მოუგო. ამ მატჩს ყურადღებას არც კი მივაქცევდით, რომ არა ქართველი წყალბურთელები ზვიად დავითიანი და რევაზ ჩომახიძე. დავითიანი ვოლგისპირელთა გუნდში თამაშობს, ჩომახიძე კი რა ხანია დინამოელია და რუსეთის ნაკრების ლიდერიცაა. ჰოდა, რუსული წყალბურთის უძლიერესი კლუბების ჭიდილი ორი ქართველის დუელად იქცა. „დინამოს“ სპორტკომპლექსის აუზში სანაქებო თამაში გაჩაღებულა და ჩვენებურებს თავიც გამოუჩენიათ. ამიტომაც შევეხმიანეთ მოსკოვში რევაზ ჩომახიძეს, მით უფრო, მასთან ერთი საქმეც გვქონდა გასარკვევი. თუ გახსოვთ, ამასწინათ გაუწყეთ, ქართველი წყალბურთელი ხორვატთა ნაკრების თავკაცებს ჰყოლიათ შეგულებული და მისი გადმობირებაც ძალიან სდომებიათო. რეზო ჩომახიძესთან ჩვენი საუბარიც ამით დავიწყეთ.

# რევაზ ჩომახიძე: დარდად რუსობაც მეყოფა

— ხორვატთა ნაკრებიდან არავინ შემხმიანებია. ერთ-ერთმა იქაურმა კლუბმა კი საკმაოდ საინტერესო წინადადებით მომმართა, მაგრამ „დინამოსთან“ კონტრაქტი მაკავშირებს და მოსკოველების მიტოვებას ჯერჯერობით არ ვაპირებ.

**— ჩვენ კი გავიგეთ, ხორვატები ძალიან მოწადინებულნი ყოფილან, რათა თავიანთ ნაკრებში გიხილონ.**

— ჩემი ხორვატიის ნაკრებში თამაში გამორიცხულია, რუსებიც არსად გამიშვებენ. ერთიცაა, დარდად ისიც მეყოფა ქართველი ჩომახიძე ამჟამად რუსად რომ ვიწოდები,.ახლა კიდევ ხორვატი გავხდე?!

**— კარგი, ხორვატებს თავი დავანებოთ და რუსეთის ჩემპიონატზე ვისაუბროთ. ვოლგოგრადის „ლუკოილმა“ მოსკოვში დაგამარცხათ, მათ გამარჯვებაში კი ლომის წილი ზვიად დავითიანმა დაიდო.**



ზვიად დავითიანი

— კიჭამ მართლაც ჩინებულად ითამაშა, 5 ბურთი გაიტანა და, შეიძლება ითქვას, ვოლგოგრადელებს მან მოაგებინა.იგი „ლუკოილის“ სული და გულია, კიჭას თამაშით მწვრთნელებიც კმაყოფილნი არიან და რუსულ პრესაშიც ძალიან აქებენ. ამ მატჩის მერე ვოლგისპირელები პირველ ადგილზე დამკვიდრნენ, ჩვენ კი მეორეზე ვართ, თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ჩემპიონის ბედი მაისში, სუპერფინალური შეხვედრებისას გადაწყდება, სუპერფინალში კი პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ითამაშებენ.

**— კი მაგრამ, სხვა გუნდებს არა აქვთ სუპერფინალში თამაშის შანსი?**

— „ლუკოილსა“ და „დინამოს“ პირველობისთვის ბრძოლაში ვერავინ შეეცილება. მჯერა, რუსეთის ჩემპიონი ამ ორი გუნდის პაექრობაში გამოვლინდება. შარშანაც ასე იყო. მაშინ შევძელით „ლუკოილის“ დამარცხება და ჩემპიონებიც გავხდით.

**— ახლა „ლუკოილი“ გაძლიერდა, დავითიანი დაიმატეს და მოსკოვშიც დაგამარცხეს. შეძლებთ კი ჩემპიონობის შენარჩუნებას?**

— წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. მეტოქე საკმაოდ ძლიერია, თუმცა არც ჩვენ ვართ ნაკლებნი. როგორც გითხარი ყველაფერი მაისში გადაწყდება. კიჭა ჩემი მეგობარია, მაგრამ მის წინააღმდეგ თავს არ დავზოგავ. ასევე მოიქცევა იგიც. ჩვენ ხომ პროფესიონალები ვართ.

**— რეზო, რუსეთის ნაკრებზეც გვითხარი ორიოდ სიტყვით.**

— ნაკრებს მძიმე დღეები უდგას — ფინანსურად უჭირს. თუმცა უახლოეს ხანს ოფიციალური შეხვედრები არ გველის და იმედია, მანამდე წყალბურთის ფედერაციის ჩინოსნები ყველაფერს მოაგვარებენ.

**სოსო ქოტორეიშვილი**


სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

სპორტისა და ინგლისური ენის მცოდნე ქალებსა და ვაჟებს

დაგვირეკეთ: 39 48 29; 38 11 14 ან გვესტუმრეთ რედაქციაში: ალექსანდრე ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული



ქირავდება

1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე

☎ 93 15 72



იყიდება ბინა საბურთალოზე შრომის სასახლესთან 1(5)
საერთო ფართობი 165 კვ.მ
3 სარდაფი, ბაღი, მუდმივი წყალი, გაზი
ფასი შეთანხმებით
ტელეფონი: 38-70-44


## ჰოკეი

# დომინიკ, შენი [illegible]

8 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი — ფილადელფია 5:5**

1:2 3:1 1:2 0:0

0:1 ლინდროსი 11'11 (13); 0:2 პალი 12'06 (1); 1:2 ჰოლიკი 16'36 (7); 2:2 არნოტი 22'01 (7); 2:3 ზუბრუსი 28'37 (2); 3:3 ანდრეიჩუკი 33'33 (9); 4:3 ელიაში 36'42 (5); 5:3 როლსტონი 52'06 (4); 5:4 ლინდროსი 53'09 (14); 5:5 ბრინდამორი 56'15 (12)

ატლანტის დივიზიონის გრანდთა შეხვედრა უხვგოლიანი და ფრიად საინტერესო გამოდგა. უპირატესობას ხან ერთი გუნდი ფლობდა, ხან მეორე და თუ „მფრინავთა“ ამგვარი თამაში სიურპრიზი არ იყო, „ეშმაკთა“ ჟინი და შემართება მოულოდნელი გახლდათ. მასპინძლებმა ბოლო 2 მატჩში 12 შაიბა შეაგდეს. ისინი არც მაშინ შედრკნენ, როცა სტუმრებმა პირველ პერიოდში, სულ ერთ წუთში ორი გოლი გაუტანეს და იმდენჯერ შეუტიეს ჯონ ვანბისბრუკს, რომ ეს საიმედო მეკარეც კი დააბნიეს. იგი ელიაშის გოლის შემდეგ გამოცვალეს, ნიუჯერსელები კი მეხუთე შაიბის მერე დამშვიდდნენ და ფილადელფიელებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს. [illegible] ეს მეტოქენი კიდევ ერთხელ შეერკინ[illegible]ბიან ერთმანეთს.

**ნეშვილი — ედმონტონი 3:3**

0:0 1:0 2:3 0:0

1:0 ჩელბერგი 39'51 (6); 1:1 ბერანეკი 41'16 (8); 1:2 გერინი 48'12 (14); 1:3 მაკამონდი 48'38 (3); 2:3 რონინგი 54'04 (7); 3:3 კრივოკრასოვი 54'24 (10)

**დეტროიტი — ჩიკაგო 3:2**

2:1 1:0 0:1

1:0 ლიდსტრიომი 0'27 (4); 1:1 მანელიუკი 4'11 (4); 2:1 როესტი 7'52 (2); 3:1 შენაჰანი 37'39 (14); 3:2 დაზე 53'50 (7)

მასპინძლებმა შეძლეს ათამაშებულ ამონტე — ჟამნოვის (5+5 ბოლო 6 მატჩში) ტანდემის შეჩერება, მათმა კაპიტანმა სტივ აიზერმანმა კი საბრძოლოდ აღანთო თანაგუნდელები. [illegible] ფორვარდმა ჩიკაგოელთა ზონაში [illegible] ხმილეკს შაიბა აართვა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და მახვილი კუთხიდან დარტყმას ბრენდან შენაჰანისთვის შაიბის მიწოდება ამჯობინა.

**სენტ ლუისი — ბუფალო 2:2**

1:1 1:0 0:1 0:0

1:0 დემიტრა 12'59 (12); 1:1 ბრაუნი 15'10 (6); 2:1 დემიტრა 26'44 (13); 2:2 ბრაუნი 40'58 (7)

„დომინიკ ჰაშეკის თამაში რომ აღვწერო, ეპითეტების შესარჩევად ლექსიკონი [illegible] გამოიყენო“ — თქვა მატჩის შემდეგ [illegible] გოლის [illegible]ტორმა კერტის ბრაუნმა. [illegible] მართლაც ჩინებულად ითამაშა და კვლავ დაამტკიცა, რომ უბადლო მეკარეა. ჰაშეკმა 41 მოგერიებით თავის კ[illegible] [illegible] პავოლ [illegible] ლური შანსი ჰქონდა, მაგრამ ჰაშეკის გადამკიდე მაინც ვერ გახდა მატჩის გმირი, ვერ შეასრულა ჰეთ-თრიქი.

**აილენდერსი — კოლორადო 1:2**

0:1 1:0 0:0 0:1

0:1 რასელი 7'35 (1), 1:1 ჩერკავსკი 34'21 (7); 1:2 ფორსბერგი 45'51 (8)

ამბობენ, ბედი ძლიერებს სწყალობსო. 46-ე წუთზე მასპინძელთა მცველ რიჩ პოლინის და მეკარე ტომი სალოს წამიერი დაბნევით პეტერ ფორსბერგმა ისარგებლა. კარიდან გამოსულ სალოს შევდმა ისე უსწრაფესად ჩაუქროლა, რომ ბადისკენ მოსრიალე შაიბას ველარც მეკარე დაეწია და ველარც მცველი. ბოლო ო[illegible]ი სეზონია, ფორსბერგის გოლი კოლორადოს გამარჯვებას ნიშნავს (+22!7-0).

**ტამპა — ოტავა 2:4**

1:2 0:1 1:1

0:1 მაკიჩერნი 11'26 (8); 0:2 იაშინ 14'56 (9); 1:2 ჰოგი 16'38 (1); 1:[illegible] მაკიჩერნი 28'38 (9); 2:3 ლეკავალიე 44'23 (4); 2:4 დაკელი 51'33 (5)

სტუმართა ოთხივე შაიბა მაკიჩ[illegible] — იაშინ — დაკელის სამეულის ანგარიშზეა. თანაც პირველმა ორმა 3-3 [illegible] ქულა (შესაბამისად, 2+1 და 1+2) დააგროვა. ბოლო 12 მატჩში ტამპა მეთერთმეტედ მარცხდება.





ტამპელ მეკარე კორი შვებს ამისთანა ნახტომმაც ვერ უშველა, ოტაველმა ალექსეი იაშინმა მაინც გაუტანა

### სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | | ატლანტა | | | | | | | წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 27 | 15 | 2 | 10 | 83:78 | 32 | ნიუ ჯერსი | 25 | 15 | 3 | 7 | 71:60 | 33 | ფინიქსი | 21 | 15 | 3 | 3 | 62:35 | 33 |
| ბუფალო | 23 | 13 | 5 | 5 | 67:44 | 31 | ფილადელფია | 25 | 12 | 5 | 8 | 69: | 29 | დალასი | 23 | 15 | 3 | 5 | 64:47 | 33 |
| ოტავა | 24 | 13 | 3 | 8 | 72:56 | 29 | პიტსბურგი | 24 | 10 | 7 | 7 | 71:64 | 27 | ანაჰაიმი | 25 | 9 | 5 | 11 | 57:62 | 23 |
| ბოსტონი | 24 | 11 | 6 | 7 | 63:45 | 28 | რეინჯერსი | 26 | 10 | 7 | 9 | 71:67 | 27 | სან ხოსე | 24 | 5 | 6 | 13 | 51:62 | 16 |
| მონრეალი | 25 | 8 | 3 | 14 | 57:74 | 19 | აილენდერსი | 27 | 10 | 0 | 17 | 68:81 | 20 | ლოს ანჯელესი | 26 | 6 | 3 | 17 | 55:76 | 15 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | **ცენტრი** | | | | | | | **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 27 | 12 | 5 | 10 | 72:64 | 29 | დეტროიტი | 25 | 15 | 1 | 9 | 84:61 | 31 | ედმონტონი | 26 | 13 | 2 | 11 | 78:69 | 28 |
| ფლორიდა | 24 | 8 | 6 | 10 | 58:65 | 22 | სენტ ლუისი | 23 | 9 | 6 | 8 | 60:54 | 24 | კოლორადო | 25 | 12 | 2 | 11 | 64:66 | 26 |
| ვაშინგტონი | 24 | 8 | 3 | 13 | 55:69 | 19 | ნეშვილი | 25 | 9 | 2 | 14 | 58:77 | 20 | ვანკუვერი | 26 | 10 | 3 | 13 | 74:76 | 2[illegible] |
| ტამპა | 26 | 7 | 2 | 17 | 58:99 | 16 | ჩიკაგო | 26 | 8 | 3 | 15 | 61:91 | 19 | კალგარი | 26 | 9 | 2 | 15 | 71:77 | 2[illegible] |

*ბომბარდირები: ლინდროსი (ფილადელფია) 35(14+21); იაგრი (პიტსბურგი) 35(8+27[illegible] [illegible]ორსბერგი (კოლორად[illegible]) 32(8+24); კარია (ანაჰაიმი) 30(13+17); აიზერმანი (დეტროიტი) 30(11+19); ამონტე (ჩიკაგო) 2?(20+[illegible]); ფლერი (კალგარი) და სტრაკა (პიტსბურგი) 28(14+14); ხრისტიჩი (ბოსტონი) 27(11+16)*

# პოტვინი გაიპარა

ტორონტოს მეკარე ფელიქს პოტვინს კლუბის პატრონები ამ ზაფხულს ტრეიდს დაჰპირდნენ (შეგახსენებთ, რომ გუნდში კერტის ჯოზეფის მოსვლის შემდეგ პოტვინი მის შემცვლელად იქცა). მას შემდეგ ელოდა იგი, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაზე მშვიდ და სულგრძელ ადამიანებსაც ევსებათ მოთმინების ფიალა და მან შაბათს, მას შემდეგ, რაც „ნეკერჩხლის ფოთლების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის მაიკ სმიტის მიერ დათქმული ბოლო ვადაც ამოიწურა, კლუბი დატოვა და მშობლიურ ქალაქ მონრეალში გადაბარგდა. მეკარემ ინტერვიუში განაცხადა, ძალიან ვნანობ, რომ ასე მოხდა, მაგრამ ტრეიდზე ამდენი ხნის ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა და სხვა რა გზა მქონდაო. წესით, პოტვინის ამგვარ საქციელს კლუბის მხრიდან სანქციები უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ სმიტმა აღიარა, ის, რასაც ფელიქსისგან მოვითხოვდით, მისთვის ერთობ ძნელი ასატანი იყოო. ისიც დასძინა, რომ ბოლო დღეებში კლუბმა თითქოს მიაღწია ტამპასთან მოლაპარაკებას, მაგრამ ჩაიშალა.

პოტვინი ხუთი სეზონის განმავლობაში ძირითადი მეკარე იყო და სეზონში 60-70 მატჩს ატარებდა, წლეულს კი მხოლოდ ხუთჯერ გავიდ[illegible] ყინულზე.

**სამველ ლარიბიანი**



პოტვინს ტორონტოში თავი აღარ გამოეყოფა

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS პოლივუდიდან



# ნუ ჩახვალთ ფულს ტაისონზე

დამდეგი წლის 16 იანვარს მაიკ ტაისონი (ფოტოზე მარცხნივ) კიდევ ერთხელ დაუბრუნდება რინგს და ლას ვეგასში შეერკინება ფედერაციის (იბფ) ყოფილ ჩემპიონს, სამხრეთაფრიკელ ფრანსუა ბოთას (ფოტოზე მარჯვნივ).

ამ ღონისძიების დაშხოშიანად გასაბუქებელი საქმიანობა უკვე დაწყებულია და მოკრივეთა ერთობლივი პრესკონფერენციაც გაიმართა.

პრესკონფერენციაზე ტაისონის კეთილგანწყობა იყო თვალშისაცემი. რკინის მაიკი სულ კარგ რამეებს ლაპარაკობდა და „ცხოვრების გაკვეთილები" შევისწავლეო, აღნიშნავდა. მომავალ მოწინააღმდეგეს მაიკი კარგ ადამიანად იხსენიებდა, თუმცა, იმასაც ამბობდა, მე ვერაფერს დამაკლებსო.

ჰოლიფილდთან მესამე შეხვედრის გამო ტაისონმა თავმდაბლურად აღნიშნა— მე პროფესიონალი კაცი ვარ, თუ ღირსეულ თანხას გამოვლენ, ჰოლიფილდს კი არა, პირგამეხებულ ლომსაც შევერკინებიო.

პრესკონფერენციაზე მივიდა სახელგანთქმული შიდსიანი კალათბურთელი მეჯიქ ჯონსონი, რომელიც ბოლოხანს ტაისონს დაუმეგობრდა და ორიოდ თვის წინ ნევადის კომისიის წინაშეც შეანია თბილი სიტყვა.

მეჯიქი ამჯერადაც მაიკის საქებრად იყო მისული: „ის კვლავ უდიდესია და მსოფლიოში უძლიერესი. ვეღარავინ იქნება მასზე დიდი".

ჯონსონის ხოტბის შემდეგ ერთგვარ უხიაგობად გამოჩნდა ტაისონის მოწინააღმდეგის, ბოთას რჩევა ხალხისადმი: „ნუ ჩახვალთ ფულს ტაისონზე, ეს ფული დაგეკარგებათ".

# დიდ კაცთან პატარა კაცსა...

*ტოკიოში მოყვარულ მთავაცთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 300-კილოგრამიან ამერიკელ იმანუილ იარბროს 115-კილოგრამიანი ჩეხი იაროსლავ პორიჟი დაუდგა, მაგრამ ბრძოლა ხანგრძლივი როგორ იქნებოდა — რა თქმა უნდა, ამერიკელმა მოიგო.*

REUTERS ტოკიოდან



REUTERS მეხიკოდან




ფრანგი ჟანი ლონგოს გაჩერება არ იქნება! ყველა დროის საუკეთესო ველომრბოლმა ქალმა საკუთარი ერთსაათიანი რბოლის რეკორდის მოხსნა მეხიკოს ველოტრეკზე ხუთჯერ სცადა, ხუთჯერვე უშედეგოდ. მაგრამ 40 წლის ლონგო დანებებას არ აპირებს. თუ მექსიკაში არაფერი გამომივიდა, ევროპაში აუცილებლად გამიმართლებსო, განაცხადა და პენსიაში გასვლა (უკვე მერამდენედ) ისევ გაურკვეველი ვადით გადადო.

REUTERS კეიპ თაუნიდან




სამხრეთ აფრიკაში მდებარე მთა „თეიბლის" წინ თავმოყრილი იახტები გარსაქვეყნო სოლო რბოლის მონაწილეები არიან. 5 დეკემბერს 20 ნავი აქედან 6884 მილით დაშორებულ, ახალზელანდიური ოკლენდისკენ გაეშურა, სადაც მეორე ეტაპის ფინიშია დანიშნული. იღბლიანები ამ გზას სამ კვირაში დაფარავენ, უიღბლოებს კი ინდოეთის ოკეანის დამშეული ზვიგენები თუ არა, მაშველი ნავები მაინც ელიან.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი,
ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29